# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 10 (66)

13 მარტი, პარასკევი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ სდუმხართ ანუ ვინ დაშალა საბჭოთა კავშირი?

თუ ადრე ზვიად გამსახურდიას მომხრენი გვიკლებდნენ (მცირე ჯგუფს ვგულისხმობ) ამ სიტყვის გადატანითი და დროდადრო პირდაპირი მნიშვნელობითაც, ახლა ახალი წყება გამოჩნდა მკითხველებისა, რომელნიც გვსაყვედურობენ იმას, რომ ჩვენმა გაზეთმა, სხვათაგან განსხვავებით სათანადოდ არ ასახა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის ფაქტი და საერთოდ, მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულება, იმ კაცის ჩამოსვლა სამშობლოში, ვინც დაშალა საბჭოთა კავშირი.

თუ პიროვნებისადმი დამოკიდებულებაში ეგზალტაცია იგულისხმება, ჩვენ ამ საქმეში ვერავის ავყვებით. ახლა რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დაშლას.

ზვიად გამსახურდია ამბობდა, სსრკ მე დავანგრიეო. (ცოტა შორსაც მიდიოდა, ევროპა გავანთავისუფლეო)

ედუარდ შევარდნაძეს ამაზე ეღიმებოდა...

მიხეილ გორბაჩოვი ალბათ ბრაზდებოდა. (შესაძლოა იმიტომაც ბრაზდებოდა, რომ გულისგულში იქნებ არც სსრკ-ს დანგრევა სურდა და არც ევროპის გათავისუფლება)...

ერთი სიტყვით, სსრკ უკვე დაინგრა და ვინც ან რომელთაც ქნეს ეს უკარგესი საქმე, არ დაეკარგებათ. ისტორიაცა და თანამედროვეობაც ყველას კუთვნილს მიაგებს.

თითქმის დამთავრდა დრო დაუნდობელ ნგრევის ძველისა.

ახლა შენების ჟამია.

საქართველოს უნდა აშენება —

პირველ რიგში საჭიროა სამაჩაბლოს მტრის ხელიდან გამოხსნა.

აფხაზეთში ქართველი კაცის წელში გამართვა.

რუსის ჯარის სამშობლოში გადაბინავება...

ვინც ამ საქმეს ეცდება და გააკეთებს, ჩვენი თავი ალალ მისი!..

ვინც ამ საქმეს არ ეცდება და არ გააკეთებს, ბრალი მისი!..

ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებას უკვე ეუწყა, რომ ქალაქ ზუგდიდში მოხდა შეიარაღებული ბანდების თავდასხმა სამართალდამცავ ორგანოებზე. დაღუპულია 3 მილიციელი.

ამ დღეებში ადგილი ჰქონდა თავდასხმებს ყოფილი პრეზიდენტის კურსის მოწინაალმდეგე კერძო პირთა ოჯახებზედაც.

დარჩნენ.

ასეთ სავალალო ფაქტებზე მსჯელობისას „კარავ-ქალაქის“ ყოფილი ბინადარნი და მათი თანამოაზრენი მრავალმნიშვნელოვნად ამბობენ და ერთმნიშვნელოვნად ირწმუნებიან, რომ მსგავს დივერსიულ ფაქტებს ადგილი აქვს ყოფილი პრეზიდენტის მოწინაალმდეგეთა მხრიდან და უოველივე ამას სჩადიან იმ პროვოკაციული მიზიდენტის „გაშავების“ მიზ...

მოილაპარაკეს და პირველმა მ... რეს ბომბი შეუგდო სახლში, ... ორემ კი პირველს, მადლიერ... ნიშნად, მანქანა დააჭახა და ფ... გადაუმტვრია.

ნიკოლოზ შენგელ... სახლ-მუზეუმი ელდარ შენ... ლაიას თხოვნით გადაწვეს, ს... ლო ირაკლი წერეთელის ს... ლი სოფელში წერეთელის... ბრძანებით იქნა გადაბუგული...

## დაუმორჩილებლობის „მშვიდობიანი“ აქციები გრძელდება

ზუგდიდში უცნობი პირები თავს დაესხნენ და ავტომატური იარაღით დაცხრილეს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის აბესალომ ტულუშის სახლი.

საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

თბილისში, ვაზისუბნის ქუჩაზე შუაღამისას ცეცხლში გაეხვია მწერალ რევაზ მიშველაძის მამისეული სახლ-კარი.

ბინაში მყოფი ბავშვები და მოხუცები, საბედნიეროდ გაზნით, რომ გადაბრალების გზით მოსახლეობას შეაძულონ ყოფილი პრეზიდენტი.

ამ „შეუვალი“ ლოგიკით აბესალომ ტულუშმა თვად დაცხრილა საკუთარი სახლი, ხოლო მწერალმა რევაზ მიშველაძემ ყოფილ ხელისუფალთა შერცხვენის მიზნით საკუთარი ხელით მისცა ცეცხლს მამისეული სახლ-კარი.

ამ ლოგიკას თუ გავყვებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო ადრე, დეპუტატებმა — ურიდიამ და პაატაშვილმა პრე-

ერთი სიტყვით, სექტემბრიდან დაწყებული, როცა, თურმე, მომიტინგეებმა ესროლეს მომიტინგეებს, დივერსიული ფაქტების მექანიზმი ისე ლოგიკურად იხსნება, რომ კაცი ვერ იტყვის, — სადა ხარ ლოგიკავო.

ოღონდ, ეგ არის, თვით დაზარალებულებმა ვერაფერი გაუგეს ასეთ ლოგიკას, უფრო მეტიც, უსირცხვილოდ ირწმუნებიან, რომ საკუთარი სახლებისათვის არც ცეცხლი მიუციათ და არც ტყვია უსროლიათ...

## ორდინალური ქრონიკა არაორდინალურად

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ! — ეს ფრაზა ზედმიწევნით ზუსტი გამოთქმაა ჩვენი დღეებისათვის.

ამ ორთვენახევრის წინ, ერთი მწერლად დანიშნული დეპუტატი წერდა: ედუარდ შევარდნაძე უმუშევარი და წაქცეული კაცია და წესით მასთან ბრძოლა აღარ მეკადრებაო...

ამ ორთვენახევრის წინ, პატიმარ ჯაბა იოსელიანს შესაძლოა მეთვალყურე წყლის მიტანას ამადლიდა...

ამ ორთვენახევრის წინ, მილიციის სერჟანტი თენგიზ სიგუას დაჭერაზე ოცნებობდა, — მანქანის ქურდობაზე თუ წავასწარი ლეიტენანტი გავხდებიო...

ამ ორთვენახევრის წინ თენგიზ კიტოვანი გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული განცხადებების ჰონორარის ასაღებად არ მოდიოდა (დღესაც არ აუღია), — ე, მანდ ჩემი გამოჩენისათვის მთელი რედაქცია არ ააფეთქონ და 100 მანეთისთვის ეს პატიოსანი ხალხი არ შევიწიროო...

ჰოდა, ფილოსოფოსობაზე რა მოგახსენოთ და იმ მწერალ დეპუტატის გასაკვირად, რომ არ დაესიზმრებოდა, სწორედ (თორემ ის იმის დამწერი არ იყო, რაც დაწერა) ის მოხდა: ეს უმუშევარი ხალხი ერთბაშად სამსახურში ჩადგა...

10 მარტს სამხედრო საბჭომ მოიხსნა უფლებამოსილება და შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ბატონი ედუარდ შევარდნაძე. მოადგილე — ჯაბა იოსელიანი. პრეზიდიუმის წევრები ბატონები — თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი.

დრო შეიცვალა და როგორც აღვნიშნე, დევნილები ახლა სახელმწიფოს მეთაურები გახდნენ.

ხოლო დრონი რომ იცვალა, ამაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი (მშვიდობიანი და ცივილიზებული მეთოდებით) გაზეთ „დრონს“.

ამიტომ, არავის გაჰკვირვებია ის, რომ ამ გაზეთის რედაქტორი ბატონი არჩილ გოგელია 10 მარტს დაინიშნა საქართველოს ინფორმაციის მინისტრად, რაც მისმა კოლეგებმა ერთობ სასიამოვნო ფაქტად აღვიქვით.

ვუსურვებთ ზემოხსენებულ ბატონებს, ისე ემართოთ ქვეყანა, დროების შესაცვლელად თოფი აღარავის აეღოს ხელთ.

## ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ისინი კი არა!..

ამას წინათ „დეზერტირების“ ბაზარში ერთი ოსი ეროვნების კაცი, (კინაღამ წამომცდა მამასისხლად-მეთქი) ჩვეულებრივ, „ნორმალურ“ ფასად, 300 მანეთად კილოგრამ კარაქს ყიდდა.

კარაქი ვერა, მაგრამ ერთი უბრალო ინფორმაცია მისგან უფასოდ „შევიძინე“.

ჩვენთან, ორჯონიკიძეშიო, — მითხრა, — 150 მანეთად მაქვს ნაყიდიო.

საქართველოს საზღვარზე გადმოსვლისას თუ შეგხვდა დაბრკოლება? — ვკითხე.

არა, სენი ჰირიმეო. — მიპასუხა.

დავემშვიდობე მას და მის კარაქს და წამოვედი...

აღარც ეს ორსიტყვიანი დიალოგი გამახსენდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა.

ბენზინის რიგში ვდგავარ.

ვიღაცამ, კატასტროფული ფასის გამო, ბენზინის გამყიდველს შეუკურთხა. გამყიდველი აყვირდა.

რა გიყოთ აბა, გროზნოდან მომავალს, ორჯონიკიძეში ოსებმა ორჯერ დამაცლევინეს ბენზინით სავსე ავზები. ახლა კი დიდი ფული წამართვეს და ისე გამომატარესო. (მეც ხომ უნდა დამრჩეს, ხალხნო, რაღაც).

წადით და ნახეთ, ჩვენი მანქანები „დატყვევებული“ ჰყავთო.

მე ის ოსი გამახსენდა „დეზერტირების“ ბაზარში რომ ხეირობდა.

იხეიროს, სამაგიეროდ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ.

ნ.თ.

# გაზეთ „მადლის“ რედაქტორს

## თეიმურაზ ფანჯიკიძე

რედაქციისაგან:

**ორიოდე წელია, რაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო გამოსცემს გაზეთ „მადლს“. ეს გაზეთიც მართლაც დიდ საქმეს ემსახურება — ჭეშმარიტად საეკლესიო კუთხით აშუქებს მრავალ საჭირბოროტო პრობლემას.**

**გაზეთი „მადლი“, ჩვენი აზრით, ყოველი ქართული ოჯახის მეგზური უნდა იყოს ეკლესიისა და რწმენის საკითხებში. ამიტომ ჩვენი რედაქცია, თუმცა ნაგვიანევად, მაგრამ გამოხატავს თავის სიმპატიას გაზეთ „მადლის“ მიმართ და მოუწოდებს ხელმომწერებს სულის ამაღლებისათვის გამიზნულ შესანიშნავ მეგზურს ფართოდ გაუღონ კარი.**

**ამასთან, ქვევით გთავაზობთ ბატონ თეიმურაზ ფანჯიკიძის სტატიას, რომლის შენიშვნებიც კეთილმსურველის პოზიციიდანაა დაწერილი.**

*

ქალბატონო გვანცა! რელიგიურ გაზეთს დიდხანს ელოდნენ საქართველოში. მოგეხსენებათ, რომ ათწლეულების მანძილზე, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მის გამოცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მართალია, კომუნისტური მმართველობის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოდიოდა რამდენიმე რელიგიური ჟურნალი (მათ შორის 1978 წლიდან „ჯვარი ვაზისა“), მაგრამ ამ ჟურნალების ტირაჟები, დამეთანხმებით, ისე მცირე იყო, რომ ისინი ფართო მკითხველამდე ფაქტიურად ვერც აღწევდა.

და აი, ეს თითქმის სამოცდაათწლიანი მდუმარების ეპოქა დამთავრდა. ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი. გამრავლდა სასულიერო გამოცემები. რელიგიურ ჟურნალებს მხარში ამოუდგა რელიგიური გაზეთები. საქართველოში ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ პარალელურად გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს გაზეთი ლამაზი სახელწოდებით „მადლი“, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ.

მრავალ ათეულ წელს რელიგიურ საზრდოს მოწყვეტილი და მოწყურებული ხალხი დიდი ინტერესით და ხალისით დაეწაფა ადრე ფაქტიურად აკრძალულ ლიტერატურას. ჯერ კიდევ ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ მკითხველთა ინტერესით და მოწონებით სარგებლობდა ჟურნალის ისეთი რუბრიკები, როგორიცაა ღვთისმეტყველება, კულტისა და ღვთისმსახურების საკითხები, რელიგიისა და ზნეობის პრობლემები, რწმენის საკითხები, ქადაგებები, საეკლესიო ცხოვრება, მშვიდობისათვის ბრძოლა და ა.შ. (ამის შესახებ მე უკვე ვწერდი ჟურნალ „ხელოვნებაში“, 1990წ. №4-ში).

ასეთივე კიდევ სხვა საინტერესო რუბრიკებმა გაზეთ „მადლშიც“ გადმოინაცვლა, რასაც მკითხველი ასევე ყურადღებით და ინტერესით შეხვდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ თქვენს გაზეთში მრავალი საყურადღებო მასალა თუ კომენტარი იბეჭდება, რასაც უდავოდ სარგებელი მოაქვს მკითხველისათვის.

ამასთანავე, მომიტევეთ, თუ ვცდები, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ თქვენი გაზეთი უფრო წარსულისადმია მიმართული, უფრო ზუსტად, მასში აშკარად ჭარბობს ისტორიული მასალა. მართალია, გაზეთს დროდადრო აცოცხლებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის შესანიშნავი ეპისტოლეები, ქადაგებები, წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც წარსულთან ერთად ყოველთვის უკავშირდება თანამედროვეობას, მის აქტუალურ საკითხებს, იბეჭდება ზოგიერთი სხვა მასალაც, მაგრამ ეს აშკარად არაა საკმარისი.

კიდევ ვიმეორებ, რასაკვირველია ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა ყველაფერი: ძველი თუ ახალი აღთქმის კომენტარები, წმინდანთა ცხოვრების ისტორიები, კულტის საკითხები, მშვენიერი თარგმანებიც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამათთან ერთად მეტი ადგილი უნდა დაეთმოს თანამედროვე საკითხებს. როდესაც თანამედროვეობასთან უფრო მეტ კავშირზე ვწერ, მე ეკლესიისა და მისი გაზეთის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას როდი ვგულისხმობ, ან იმას, რასაც რომელიმე მხარის დგომა ჰქვია, არამედ იმას, რასაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი თავის წარმოთქმულ ქადაგებებში (1992 წ. 12 იანვარი) ამბობდა: „... ჩვენ დღესაც უნდა განვსაჯოთ და გავიგოთ, სად არის სიკეთე და სად ბოროტება, რათა ვიცოდეთ როგორ მოვიქცეთ და რა ვაკეთოთ“ (ხაზგასმა ჩემია — თ.ფ.).

სამწუხაროდ, გაზეთ „მადლში“ მკითხველი ყოველთვის როდი იპოვის პასუხს მისვთის საჭირო კითხვებზე, რომელიც ძალზე აწუხებს თანამედროვე მორწმუნეს. მართლაც, როგორ იცხოვროს ქრისტიანმა ადამიანმა თანამედროვე ცხოვრებაში, რა ქნას ამ გაჭირვებულ ყოფაში, რა ღირებულებებს სცეს პატივი, რა ორიენტირს მისდიოს, ასეთი კატასტროფული დეფიციტის პირობებში, როგორ გამოკვებოს ბავშვები, როგორ შეხვდეს ჭირს თუ ლხინს, როგორ გადაიხადოს ქორწილი, ნიშნობა, ქელეხი, ორმოცი, წლისთავი. გაზეთი ალბათ უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს ამ ამბებში და გმობდეს უშნოდ დამახინჯებულ, გაზვიადებულ ტრადიციებსა თუ წეს-ჩვეულებებს. ხელს უწყობდეს სადა, ეკონომიკურად ხალხისათვის მისაწვდომ, გონივრულ ადათ-წესებს.

თავის დროზე, როგორც ცნობილია, კომუნისტურმა ხელისუფლებამ სცადა ამ საკითხების მოგვარება, სათანადო დადგენილებაც გამოვიდა 1978 წელს ტრადიციების შესახებ, მაგრამ აქედან რეალურად ბევრი არაფერი გამოვიდა. ახლა, როდესაც ამ რიტუალებში დომინირებული მდგომარეობა ისევ ეკლესიამ და რელიგიურმა რიტუალებმა დაიკავა, როდესაც სასულიერო პირთა გარეშე იშვითად ტარდება ეს წესები, ალბათ დროა ეკლესიამაც და მისი იდეების გამომხატველმა გაზეთმაც, სათანადოდ იზრუნოს ამ მნიშვნელოვანი, ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაზე.

თუკი ეკლესია ყურადღების გარეშე დატოვებს მორწმუნეთათვის საჭირბოროტო საკითხებს, ისევ შორიდან დაუწყებს ცქერას თავისი მრევლის ცხოვრებას, დაკმაყოფილდება მხოლოდ აბსტრაქტული მოწოდებებით სიკეთისა და სათნოებისაკენ, იგი ისევ განზე აღმოჩნდება მრევლისაგან, მისი ჭირ-ვარამისაგან, რეალური ცხოვრებისაგან. მაშინ სწორი აღმოჩნდება სექტანტთა საყვედური ოფიციალური ეკლესიის მიმართ, რომ მორწმუნე ადამიანი მართლმადიდებლურ ეკლესიაში როგორ მარტო შედის, ისევე მარტოც გამოდის, რომ მასზე ფაქტიურად არავინ ზრუნავს, განსხვავებით იგივე სექტანტური თემის წევრებისაგან, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთის გვერდში იყვნენ ჭირსა თუ ლხინში.

რასაკვირველია, დიდი ცოდვა და უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდებოდეს. პირიქით, ბოლო წლებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ფართო ქველმოქმედებას ეწევა, აქტიურად მონაწილეობს მიწისძვრისაგან, მეწყერისაგან, დიდთოვლობისაგან, წყალდიდობისაგან თუ სხვაგვარად დაზარალებულთა დასახმარებლად. ქართული ეკლესიის ხაზით ჩვენ სოლიდური დახმარება მივიღეთ როგორც საზღვარგარეთიდან, ისე საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, თვით ეს მნიშვნელოვანი დახმარებაც კი წვეთია ზღვაში იმ კატასტროფულ მდგომარეობასთან, რომელსაც ჩვენი ხალხი მასობრივად განიცდის ( ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიცვალებულისათვის კუბოს შეძენაც კი ძალზე რთულ და მეტად ძვირადღირებულ პრობლემად ქცეულა). ამ მიმართულებით ჩვენს ტრადიციებზე, დამახინჯებულ წეს-ჩვეულებებზე მეტი ძალისხმევა და ზემოქმედებაა საჭირო, რათა ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ხალხს ცხოვრება. თუკი ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, საზოგადოების უქონელმა ნაწილმა (ასეთი კი ფაქტიურად ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ნაწილია) შეიძლება სულ დაკარგოს სასოება და იმედი. მათმა ნაწილმა კი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხელი მოჰკიდოს ქურდობას და ძარცვას (ამის აუარებელი მაგალითი გვაქვს).

ერთ რამეზეც გვინდოდა თქვენი ყურადღება გაგვემახვილებინა. ახლა რელიგიურ ჟურნალ-გაზეთებს ბევრი ისეთი ადამიანი კითხულობს, რომელთა რწმენის ხარისხიც სხვადასხვა არის, ზოგიც ისეთი — რომელსაც არავითარი რელიგიური რწმენა არ გააჩნია, მაგრამ თავის ცხოვრებაში ძირითადად ქრისტიანულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს მისდევს. ალბათ, გაზეთმა მათთანაც უნდა მონახოს საერთო ენა და დააინტერესოს ისინი, ჰქონდეს რუბრიკა არამორწმუნეებთან საურთიერთობოდ.

ეგებ გაზეთ „მადლს“ თანამედროვე ეკლესიის ავ-კარგზეც ეთქვა თავისი სიტყვა, უფრო გაბედულად ეჩვენებინა ჩვენი სამღვდელოების ღირსება-ნაკლოვანებანი, ობიექტურად შეეფასებინა ჩვენი „სულიერი სამსახური“. არც ის არის დასამალი, რომ ეკლესიას, ისევე როგორც სხვა სფეროებს, ზოგიერთი [illegible]ტმასნა და მას აშკარად სახელს უტეხს. ეგებ იმაშიც გაგვერკვია ხალხი, თუ რას აკეთებდა „ბუნკერში“ ჩასაფრებულ ხალხთან ერთად ზოგიერთი სამღვდელო პირი, რომელიც ვიდეო კასეტებზე არის აღბეჭდილი...

არის ბევრი სხვა პრობლემაც, რომლის ჩამოთვლასაც ახლა არ შევუდგები. მე კარგად მესმის, რომ აქ დასმულ საკითხებს მარტო გაზეთის მცირერიცხოვანი კოლექტივი ვერ მოუვლის და ვერ გასცემს პასუხს, (მით უფრო, რომ ამ მცირერიცხოვან კოლექტივს, სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევა სჭირდება ამ არაშემოქმედებითი საკითხების მოსაგვარებლად (ქაღალდის პრობლემა, დაფინანსება, ბეჭდვა და ა.შ., რომელთაც მათი დრო, ენერგია და ნერვები მიაქვთ). ეს მთელი ეკლესიის, მისი მღვდელმთავრების საქმეა, რომლებმაც სწორად უნდა წარმართონ ერისა და მრევლის ინტერესები.

გაზეთმა კი მათთან ერთად თავისი საქმე უნდა აკეთოს. ითვალისწინებდეს და გამოდიოდეს მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან.

იმედია, რომ გაზეთი „მადლი“ ახლო მომავალში უფრო აქტუალური გახდება, უფრო მეტ საჭირბოროტო საკითხებს დააყენებს, დაეხმარება ადამიანებს უფრო უკეთესები გახდნენ, გადაატანინებს მათ ამ მძიმე პერიოდს, დააძლევინებს ბოროტებას და მიმართავს მრევლს სათნოებისა და სიკეთისაკენ.



# ღია წერილი „სვობოდნაია გრუზიას“, „ახალგაზრდა ივერიელისა“ და „საქართველოს“ რედაქტორებს

„ჰელსინკი უოთჩმა“ ახლახანს მიიღო წერილები „ჰელსინკი — 91“-ის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიისაგან, — თითოეული მათგანი პროტესტს გამოთქვამს ჩვენი 17 იანვრის განცხადების მიმართ. გვსურს, ნათელი მოვფინოთ იმ არსებით გაუგებრობას, რომელიც ჩვენმა განცხადებამ გამოიწვია. იგი დასათაურებული იყო „ადამიანის უფლებათა ხელყოფა ახალ საქართველოში“ და, როგორც ჩანს, გადაიცა პირველი არხით ახალი ამბების პროგრამაში 25 იანვარს. ცნობისათვის გიგზავნით მის ასლს. ზემოთ აღნიშნული სამივე წერილი გამოხატავს გაოცებას და შეურაცხყოფას იმის გამო, რომ „ჰელსინკი უოთჩმა“ გაკიცხა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის აქტი და ძალადობა, რომელიც თან ახლდა მას. ჩვენი განცხადება მსგავსს არაფერს გულისხმობდა; იგი ყურადღებას ძირითადად იმ განსაკუთრებულ შემთხვევაზე ამახვილებდა, როდესაც სამხედრო საბჭომ გაუმართლებლად გამოიჩინა ძალადობა შეუიარაღებელი დემონსტრანტების წინააღმდეგ. „ჰელსინკი უოთჩი“ არც კიცხავს და არც ამართლებს გამსახურდიას გაძევებას და სრულ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავს ამ საკითხთან დაკავშირებით.

„ჰელსინკი უოთჩის“ ვალია გააკონტროლოს ადამიანის უფლებათა ხელყოფის მომენტები და გამოააშკარაოს დამნაშავენი. საქართველოს შემთხვევაში ჩვენ ეს გავაკეთეთ 27 დეკემბრის განცხადების მეშვეობით, — „კონფლიქტი საქართველოში: ადამიანის უფლებათა ხელყოფა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ“, ისევე, როგორც თანდართულ, 27 სექტემბრით დათარიღებულ წერილში პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართ. ჩვენ ვაპირებთ მომავალშიც თვალყური ვადევნოთ ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოში და მოხარულნი ვართ, რომ დროებითმა მთავრობამ ახლახანს, საერთაშორისო ზედამხედველების გამოგზავნა შემოგვთავაზა. „ჰელსინკი უოთჩი“ გულწრფელად სწუხს იმ უსიამოვნების გამო, რომელიც აღნიშნულმა გაუგებრობამ გამოიწვია.

ჯერი ლაბერი

„ჰელსინკი უოთჩის“
აღმასრულებელი
დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკის გაჯანსაღების ზოგიერთი აუცილებელი პირობა

ვახტანგ ჭიჭინაძე

საქართველოს რესპუბლიკა აღმოჩნდა მძიმე სიტუაციაში. მე, პირადად, მესახება ორი ძირითადი პრობლემა: საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება და მისი ეკონომიკის მკვეთრი გაჯანსაღება.

ყველა დამეთანხმება იმაში, რომ საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებას და მისი ეკონომიკის აღორძინებას უნდა ემსახუროს ყველა მოქალაქე, ყველა პარტია და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა.

ვფიქრობ საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ აუცილებელია ჩვენმა რესპუბლიკამ შეძლოს საკუთარი თავის შენახვა. რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა არა მარტო დაფაროს გაწეული ხარჯები, არამედ გამოყოს თანხები მეცნიერებისა და კულტურის გარკვეულ დონეზე შენარჩუნებისათვის, იმ ადმინისტრაციული აპარატის შენახვისათვის, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს ფუნქციონირება, სამხედრო და შინაგანი ჯარების შენახვისათვის და ა.შ. ყოველივე ამის განხორციელება მარტო შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა უმრავლესი ორგანიზაციები და ობიექტები, რომლებიც სხვადასხვა ფასეულობას ქმნიან, რენტაბელური იქნებიან. დაუშვებელია, რომ გაწეული ხარჯები შემოსავალზე მეტი იყოს და დეფიციტი დაიფაროს ფულის ახალი ნიშნების გამოშვების ხარჯზე. საბჭოთა ხელმძღვანელობა სწორედ ამას აკეთებდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანია დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა. ერთი სიტყვით, მივდივართ ტრივიალურ დასკვნამდე: რესპუბლიკა უნდა იყოს მომგებიანი და რაც შეიძლება უფრო მეტად. იმისათვის, რომ მოგება გაიზარდოს, ან უნდა შემცირდეს გაწეული ხარჯები ან გაიზარდოს შემოსავალი, ან უნდა განხორციელდეს ორივე ღონისძიება ერთად. გაწეული ხარჯების შემცირების გზები ცნობილია: 1) შრომის ნაყოფიერების გაზრდა, რაც შესაძლებელია ავტომატიზაციის, მექანიზაციისა და კომპიუტერების გამოყენების ხარჯზე; 2) ადმინისტრაციული პერსონალის შემცირება; 3) სატრანსპორტო ხარჯების შემცირება; 4) მათემატიკური მეთოდების გამოყენება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით. არის სხვა საშუალებებიც, მაგრამ მათ აღარ შევეხები.

შემოსავლის გაზრდა შეიძლება როგორც ფასების გაზრდის, ისე ფასების შემცირების ხარჯზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ მოთხოვნილება - ფასების დამოკიდებულების რა წერტილში ვართ. თუ ფასების გაზრდა გამოიწვევს გაყიდული საგნების რაოდენობის ისეთ შემცირებას, რომ სიდიდე-გაყიდული საგნები გამრავლებული ფასზე, რაც სწორედ შემოსავალია, მცირდება, მაშინ, ცხადია, ფასების გაზრდით მარტო შეიძლება ვიზარალოთ. თუ ფასების შემცირებით აღნიშნული ნამრავლი გაიზრდება იმის გამო, რომ ფასების შემცირება ყოველთვის იწვევს მოთხოვნილების გაზრდას ამ საგანზე, მაშინ შემოსავალი გაიზრდება მიუხედავად იმისა, რომ ფასი შემცირდა. ეკონომიკის ეს ელემენტარული და ძირითადი კანონი ბევრს არ ესმის და ყველა შემთხვევაში ცდილობენ შემოსავლის გაზრდას ფასების მომატების ხარჯზე და არ უწევენ ანგარიშს, თუ რას უდრის მოთხოვნილების ელასტიკურობა. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ფასების გაზრდა გამოშვებულ ნაწარმზე ყოველთვის იწვევს ფასების ზრდას სხვა საგნებზეც და მათ შორის, იმ საგნებზეც, რომლებიც ხმარდება ჩვენს მიერ დამზადებული ნაწარმის შექმნას. ზოგ შემთხვევაში ამანაც შეიძლება უარყოფითი ეფექტი მოგვცეს და მნიშვნელოვნად გაუარესდეს ეკონომიკა. შემოსავლის სიდიდე დამოკიდებულია აგრეთვე რეკლამაზე, ჩვენს მიერ დამზადებული ნაწარმის ხარისხზე, კონკურენციაზე, სატრანსპორტო ხარჯებზე, საწყობების შენახვაზე, დახარჯულ თანხებზე და ა.შ.

ახლა თავს ნებას მივცემ, ჩამოვაყალიბო ის ძირითადი კონცეფციები, რომელთა განხორციელება, ჩემი აზრით, აუცილებელია ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად. როგორც ჩემთვის ცნობილია, პირველი ნაბიჯი ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში უკვე გადადგმულია, კერძოდ, შესწავლილია საქართველოში არსებული რესურსები. ამჟამად საჭიროა გაირკვეს, თუ რომელი რესურსი უნდა გადამუშავდეს ადგილობრივ და რომელი გაიყიდოს. არსებობს არასწორი აზრი, თითქოს ამა თუ იმ რეგიონში და, კერძოდ, საქართველოში უნდა განვითარდეს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ადგილობრივი რესურსებით. ეს მცდარი აზრია. უნდა განვითარდეს ის დარგები, რომლებიც მეტ მოგებას მოგვცემენ, მიუხედავად იმისა ადგილობრივ რესურსებზე იქნებიან ეს საწარმოები დამყარებული თუ შენაძენზე. ამ საკითხის გადაწყვეტას სჭირდება გარკვეული გათვლების ჩატარება, რაც უნდა გაკეთდეს უმოკლეს ვადაში. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა ეკოლოგიის საკითხებიც.

საბოლოოდ უნდა დაზუსტდეს თითოეული საწარმოს პროფილი, გაირკვეს, რა უნდა აწარმოონ მათ: ის, რასაც აქამდე ამზადებდნენ, თუ პროფილი შეიცვალონ და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა სახის პროდუქცია უნდა გამოუშვას და ბოლოს, თუ საწარმოს არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია, უნდა მოინახოს სპონსორები, რომლებიც დათანხმდებიან ამ პრობლემის გადაწყვეტას მოკიდონ ხელი, და თუ არც ეს ვარიანტი გამოვიდა, მაშინ სხვა გამოსავალი არ დარჩება, თუ არა ამ საწარმოს დახურვა.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია:

1) თავისუფალი ბაზრის დაუყოვნებლივ და ყოველგვარი შეზღუდვისა და კორექტირების გარეშე შექმნა. ყოველგვარი სხვა სისტემა, მათ შორის სახელმწიფო კაპიტალიზმისა, რომელიც რაღაც ჰიბრიდს გულისხმობდა, არაფერ სასიკეთოს არ მოიტანდა. ამ რამდენიმე თვის წინ მეტად ავტორიტეტული ინგლისური ჟურნალი „ეკონომიკს" წერდა, რომ თავისუფალი ბაზარი, რომლის რეგულირება ხდება სახელმწიფოს მიერ, რა დოზითაც არ უნდა იყოს განხორციელებული ეს, აღარ არის თავისუფალი ბაზარი.

2) კერძო საკუთრების შესახებ კანონის დაუყოვნებლივ შემოღება. კერძო საკუთრება უნდა იყოს ხელშეუხებელი ნებისმიერი პირისაგან, მათ შორის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა თუ უზენაესი საბჭოსაგან.

3) რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს ფულის რეფორმა. შეუძლებელია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე ფიქრიც კი, თუ არ განხორციელდა არსებული ფულის ნიშნების შეცვლა და, ამასთანავე, მოულოდნელად. ძირითადი მოტივი, რომელსაც ეყრდნობიან ფულის რეფორმის მოწინააღმდეგენი, მდგომარეობს იმაში, რომ ეს იქნება მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე მნიშვნელოვანი დარტყმა. ვინაიდან ისინი დაკარგავენ თავიანთ დანაზოგებს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგს მართლა აქვს ფულის ნიშნების დიდი რაოდენობა, მაგრამ თვითონ ამ პირების რაოდენობა არ არის ძალიან დიდი. გარდა ამისა, თვითონ იმათთვისაც კი, ვისაც ბევრი ფულის ნიშნები აქვს, იქნებ უმჯობესია ჰქონდეთ უფრო მცირე რაოდენობის ფულის ნიშნები, მაგრამ ისეთი, რომელიც მყარი კურსით განისაზღვრება და რომლებსაც გაცილებით უფრო მეტი მყიდველობითი უნარი ექნებათ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფულის ახალი ნიშნები კონვერტირებული იქნება და მათი საშუალებით შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ბაზარზე გასვლა. ერთი სიტყვით, სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ფულის რეფორმის გარეშე ფიქრიც კი შეუძლებელია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე.

ახალი ფულის ნიშნების რაოდენობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ან ოქროს მარაგით, ან რესპუბლიკაში შექმნილი პროდუქციის მოცულობით. საქართველოს ოქროს მარაგი თუ აქვს, ალბათ, მეტად შეზღუდული რაოდენობით. ამას წინათ იყო ცნობა, რომ საქართველოში ოქროს წარმოება უდრის მთელ საბჭოთა კავშირში მოპოვებული ოქროს 0,2-ს. არ არის ცნობილი, თუ რა რაოდენობის ოქრო იწარმოება საბჭოთა კავშირში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის ნაკლები 200-250 ტონაზე წელიწადში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წელიწადში დაახლოებით იწარმოება არანაკლებ 400 კილოგრამი ოქრო. გამოდის, რომ ფულის ახალი ნიშნები ჩვენს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ძირითადი ნაწარმოები პროდუქციის მოცულობით დოლარებში. აქედან გამომდინარე, ფულის ახალი ნიშნები უნდა დაიბეჭდოს იმდენი, რამდენ პროდუქციასაც უშვებს რესპუბლიკა საერთაშორისო ფასებში პლიუს რაღაც რეზერვი, რომელიც საგრძნობლად ნაკლები უნდა იყოს გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა.

ვინაიდან რესპუბლიკის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროზე მოდის, ჯერ განვიხილოთ ის ღონისძიებები, რომელთა ჩატარება, ჩემი აზრით, პირველ რიგში არის აუცილებელი. ვფიქრობ, რომ ამისათვის აუცილებელია:

1) მიწის რეფორმა უკვე ხორციელდება. უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი ადგილებზე, რომ სხვადასხვა ბიუროკრატიული მეთოდების გამოყენებით, ეს რეფორმა ფიქტიური არ გახდეს. სამწუხაროდ, ამის ნიშნები უკვე არის.

უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარ დემოგრაფიულ ძვრებს ადგილი არ ექნება, ვინაიდან განაწილებული უნდა იქნეს ის ნაკვეთები, რომლებიც სოფლის განმგებლობაშია.

2) უნდა ჩამოყალიბდეს ინდივიდუალური, ანუ კერძო მეურნეობის სტატუსი. აღნიშნულ მეურნეს უნდა ჰქონდეს სრული უფლება, გამოიყენოს დაქირავებული შრომა. კერძო მეურნე არავის არ უნდა ემორჩილებოდეს. როგორც წესი, ის აწარმოებს იმ პროდუქტებს, რომელსაც ის საჭიროდ თვლის მოიყვანოს. მოსავალს არავის არ აბარებს, მით უმეტეს იმ კოლმეურნეობებს თუ სახელმწიფო მეურნეობებს, ვის კუთვნილებაში მყოფი მიწაც გამოეყო მას. ერთადერთი შეზღუდვა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ სახელმწიფომ შეიძლება დაავალოს მეურნეს გარკვეული რაოდენობით რაიმე რესპუბლიკისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა. ამასთანავე, ანაზღაურება უნდა იყოს კერძო მეურნისათვის ხელსაყრელი. ეს პროდუქტიც არ ბარდება, მასზე ფასს აწესებს მეურნე და ყიდის მხოლოდ რესპუბლიკის ფარგლებში. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება ზოგიერთ პირველად მოხმარების პროდუქტებზე დააწესოს ფასების ზედა ზღვარი. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფომ დოტაცია უნდა გამოუყოს სუსტ და არარენტაბელურ კერძო მეურნეობას, რომელსაც მეურნე ვერ ასაღებს თავის პროდუქციას.

3) კოლმეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები შეიძლება დარჩნენ, თუ ამ ორგანიზაციების წევრებმა ფარული კენჭისყრის საფუძველზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4) მიზანშეწონილია ეკონომიკის რეფორმის პირველ ეტაპზე ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანები ჩამოერთვას კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და შეიქმნას სამანქანო-სატრაქტორო კოოპერატივები, რომლებიც იქნებიან სამეურნეო ანგარიშზე და მოემსახურებიან როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მეურნეობებს. სახელმწიფომ კონტროლი უნდა დააწესოს მომსახურეობის ფასებზე. არ უნდა იქნეს დაშვებული ამ კოოპერატივების გაზრდილი ხარჯები მათ ადმინისტრაციულ საქმიანობაზე და უნდა განისაზღვროს ასეთი კოოპერატივების სტანდარტული საშტატო განრიგი.

შემდგომში პირადი მეურნეობების გაძლიერების შედეგად, მეურნენი თვითონ შეიძენენ კერძო საკუთრებაში საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

5) პირველ ხანებში სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინების მიზნით კერძო მეურნე უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადებისაგან.

რაც შეეხება მრეწველობას, უპირველესად, როგორც უკვე ავღნიშნეთ, უნდა გაირკვეს რესპუბლიკის ყველა საწარმოს პროფილის საკითხი. უნდა განაგრძოს საწარმომ იმ პროდუქციის გამოშვება, რომელსაც აქამდე აწარმოებდა, თუ უნდა შეიცვალოს პროფილი. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მომგებიანი და, საერთოდ, იქნება თუ არა მომგებიანი ეს საწარმოო თავისუფალი ბაზრის არსებობის პირობებში. თუ შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ საწარმომ უნდა მოკიდოს ხელი ახალი პროდუქციის გამოშვებას, მაშინ უნდა გადაწყდეს, თუ რა სახის პროდუქცია უნდა იყოს ეს და გამოინახოს დაფინანსების ის წყაროები, რომლებიც საჭირო იქნება ახალი ტექნოლოგიის ასამოქმედებლად. მას შემდეგ, რაც საწარმოს პროფილი საბოლოოდ იქნება დადგენილი, იმისდა მიუხედავად, ძველი იქნება შენარჩუნებული თუ ახალი პროდუქციის გამოშვებას მოვკიდებთ ხელს, საჭიროა დადგენილ იქნას, რა სახის ნაწილები უნდა იქნეს გამოშვებული ამ საწარმოში და რა უნდა მივიღოთ სხვა ორგანიზაციებიდან ან ბაზრიდან კოოპერირებისა თუ შეძენის გზით. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამჟამად საერთო და არაზუსტი ანალიზის შედეგად წყდება. აქ კი მეცნიერებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, მით უმეტეს, რომ სათანადო მეთოდიკა უკვე არსებობს და არსებობს მზა პროგრამებიც. სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ აგრეთვე აქტიური მონაწილეობა შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და ინოვაციის განხორციელების საქმეში. მეტად სერიოზული საკითხია კაპიტალური დაბანდებებისა და ინვესტიციის განხორციელება. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ უცხოური კაპიტალი. უნდა გვახსოვდეს, რომ უცხოური ფირმები და კომპანიები არავითარ ხარჯებს არ გაიღებენ, თუ არ ექნებათ შესაბამისი მოგება. ამ მოგებიდან მარტო ნაწილი შეიძლება გადავიდეს რესპუბლიკის ბიუჯეტში.

მეტად მნიშვნელოვანია ასევე მრეწველობის ხელმძღვანელი კადრების ფსიქოლოგიის შეცვლა. აქამდე იყო ასე: როგორც წესი, საწარმო ფუნქციონირებდა სახელმწიფო ბიუჯეტზე და ამიტომ, ყველა მომუშავე გარანტირებული იყო ხელფასით. საწარმოოს ხელმძღვანელის ძირითადი მოვალეობა იყო გეგმის შესრულება, თანაც მოცულობის კრიტერიუმით. საწარმოს ხელმძღვანელს ჰქონდა და ამჟამად აქვს შესაძლებლობა გაადიდოს პირადი შემოსავალი ბევრი სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. აქ არის ე.წ. „მარცხენა" პროდუქტიც, კაპიტალური რემონტების ჩატარების ხარჯზე, როგორც ცნობილია, დაუწერელი კანონის თანახმად, რემონტზე გამოყენებული თანხის საკმაოდ დიდი ნაწილი საწარმოს ანგარიშზე ანდა, საერთოდ, დაწესებულების ხელმძღვანელის ჯიბეში გადადის. ფართო გამოყენებას პოულობს მასალების გაყიდვა ასევე „მარცხნივ", უფაქტურო საქონლის ოპერაციები, უსაქონლო ოპერაციები და ა.შ. თავისუფალი ბაზრის შემთხვევაში ეს შესაძლებლობანი მეტად შეზღუდული იქნება, პირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ საწარმომ და დაწესებულებამ საკუთარი თავი თვითონ შეინახოს და ამგვარი მეთოდებით მოპარული თანხა უნდა დააკლდეს ან თანამშრომლებს, რომლებიც უფრო ნაკლებ ანაზღაურებას მიიღებენ, ანდა უფრო ნაკლები თანხები უნდა დაიხარჯოს საწარმოს შემდგომ განვითარებაზე და მოდერნიზაციაზე. ამის ნებას საქმიანი ხელმძღვანელი თავის თავს ვერ მისცემს. ჯერ ერთი, ეს გამოიწვევს მუშახელის უკმაყოფილებას, საწარმოს შემდგომი განვითარების დამუხრუჭებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ეს ორგანიზაცია ვერ გაუძლებს კონკურენციას და შეიძლება დაიხუროს.

რესპუბლიკაში მომქმედი ყოველი საწარმო საჩქაროდ უნდა მომზადდეს ბაზრის პირობებში მოქმედებისათვის. უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ვინ უპატრონებს ამა თუ იმ საწარმოს: რაიმე ფირმა, აქციონერული საზოგადოება, კერძო პირი თუ აღნიშნული საწარმო არენდით უნდა მიეცეს რომელიმე საზღვარგარეთის კომპანიას, რომელიც თავისი მოგების ნაწილს დატოვებს რესპუბლიკაში.

აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულმა გამოყენებითი პროფილის მქონე და, საერთოდ, ბუნებისმეტყველების დარგში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მეცნიერებმა უშუალო დახმარება გაუწიონ ჩვენს საწარმოებს. არის აუარებელი პრაქტიკული პრობლემები, დაკავშირებული საწარმოს რენტაბელურ მუშაობასთან, რომელთა გადაჭრა მარტო მეცნიერულ ძალებს შეუძლიათ.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ენერგეტიკაზეც. ამ პრობლემის განხილვაში ხშირად ბევრი არაკომპეტენტური პირი იღებს მონაწილეობას და ხშირად ისეთ ისტერიულ ატმოსფეროს ქმნიან, რომ საქმეში კარგად ჩახედული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ენერგეტიკოსები ველარ მოქმედებენ. ჩემი თხოვნაა ყველასადმი, დაუჯეროთ ამ სპეციალისტებს. საქართველოში საკმაო რაოდენობით მოიპოვება როგორც დამპროექტებელი ინჟინერი ენერგეტიკოსი, ისე მეცნიერ-მუშაკებიც. ისინი არ არიან უფრო ნაკლები კვალიფიკაციის მქონე, ვიდრე სხვა დარგის სპეციალისტები. ენერგეტიკის საკითხები რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო საკითხებია. ჩვენთან არ შეიძლება არც ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობა, არც გაზზე მომუშავე სადგურების გაფართოება, ვინაიდან არა გვაქვს გაზი და არც ვალუტა, რომ ის შევიძინოთ. ატომურ სადგურზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ქარის და მზის ენერგიის გამოყენება შეიძლება, მაგრამ მათი ხვედრი თეორიულადაც კი არ შეიძლება აღემატებოდეს 15 %-ს. იგივე უნდა ითქვას მცირე სიმძლავრის მქონე ჰესებზე. დარჩა მნიშვნელოვანი წყალსაცავის მქონე ჰიდროსადგურები და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ხუდონის და ნამოხვანის ჰესების აშენება, ალბათ, აუცილებელი იქნება. მდგომარეობა გართულდა იმ მხრივ, რომ რამოდენიმე წლის წინათ ამ სადგურების დაფინანსება ხდებოდა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე, ახლა კი სხვადასხვა პირების კაპრიზების გამო ეს ხარჯები, რომლებიც რამდენიმე მილიარდი მანეთია, უნდა გაიღოს რესპუბლიკამ.

საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ჰქონდეს ტურიზმის განვითარებას. არის ქვეყნები, რომლებსაც საკმაო შემოსავალი აქვთ ტურიზმის სახით. ეს საკითხი მეტად სერიოზულია და უცხოეთის კაპიტალის ჩარევის გარეშე, ალბათ, ვერც გადაწყდება. შენობები და სასტუმროები, რომლებიც აშენებულია შავი ზღვის სანაპიროზე და აგრეთვე სხვა საკურორტო ადგილებში, ისეთ დონეზეა, რომ იქ ტურისტების ფართო ნაკადს ვერასოდეს ვერ მივიზიდავთ. უნდა შეწყდეს ჩვენი ძალებით განხორციელებული მშენებლობები და როგორც უკვე ავღნიშნე, მივანდოთ უცხოელ არქიტექტორებს და მშენებლებს ახალი სასტუმროების მშენებლობა. ასევე სერიოზული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სხვადასხვა გასართობი ორგანიზაციების, მათ შორის, კაზინოების შექმნის საქმეში. ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას კავშირგაბმულობის სისტემა, რათა რომელიმე ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმარს შესაძლებლობა ექნეს ტელეფონის ნომრის უშუალო აკრეფით დაუკავშირდეს ნებისმიერ აბონენტს უცხოეთში.

მე ვთვლი, რომ საჭიროა ფართო გასაქანი მიეცეს კერძო ვაჭრობას. დაე, გახსნან რაც შეიძლება მეტი კერძო მაღაზიები და შემოიტანონ რაც შეიძლება მეტი საქონელი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება ფულის რეფორმა და გვექნება კონვერტირებული ფული. მაშინ კერძო მაღაზიის პატრონს შესაძლებლობა ექნება მტკიცე კურსით განახორციელოს სხვადასხვა სამრეწველო თუ სასურსათო საგნების შეძენა საზღვარგარეთ, მათი შემოტანა და რეალიზაცია აქ. ასე ხდება ყველგან და ასე მოხდა საბჭოთა კავშირში [illegible] ნების ჭუ-რიოდის დროს. არ არის საჭი[illegible] [illegible]სიპედის გამოგონება. ამ სისტ[illegible] [illegible]ობს ყველა განვითარებული ქვე[illegible] [illegible]კა. მისი აღორძინების სხვა, [illegible] [illegible]ტიანი გზა არ არსებობს.

პონორარი[illegible] გადაერი[illegible]
სამაჩაბლოს აღორძინების[illegible]

# დავდგეთ საქართველოს მხარეზე!

## მიხეილ მახარაძე

ბატონ ელდარ ნადირაძეს შორიდან ვიცნობ. ვიცნობ და პატივს ვცემ ვითარცა მორიდებულსა და თავაზიან პიროვნებას. მისი წერილიც — „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათალიკოსისა..." ანუ სიმართლე ყოფილ პრეზიდენტსა და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე („საქართველო", 29.02.92.) ერთი შეხედვით მოკრძალებული ცდაა ობიექტური პოზიციიდან შეაფასოს პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, უფრო სწორად, ყოფილი პრეზიდენტისა და დროებითი ხელისუფლების საქმიანობის ავ-კარგი. ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, რადგანაც სწორედ მომხდარის ობიექტურმა ანალიზმა უნდა აგვაცილოს წარსულში დაშვებული შეცდომების განმეორება.

ე.ნადირაძის წერილი მრავალმხრივაა საყურადღებო, მაგრამ მიზეზთა გამო მას დაწვრილებით ვერ განვიხილავთ. შევეხებით ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს ამ წერილიდან.

ვეთანხმებით ე.ნადირაძეს იმაში, რომ დღეს საინფორმაციო საშუალებები ვერ იჩენენ სათანადო ტაქტსა და [illegible]შირ შემთხვევაში ყოფილი პრეზიდენტის პიროვნებასა და მის მოღვაწეობას უკიდურესად ცალმხრივად აფასებენ; ხშირად, პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ ლანძღავენ ზვიად გამსახურდიას და ყველაფერს, რაც მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული ეჭვს ქვეშ აყენებენ; ამ მხრივ განსაკუთრებით მიუღებელია ბატონ ზვიად გამსახურდიას წვლილის უგულებელყოფა ეროვნულ მოძრაობაში; ასევე მიუღებელია დღევანდელობის პოზიციიდან ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ურთიერთობაში ხინჯის ძიება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ამის მიზეზი, ან საბაბი. ასევე ვეთანხმებით ე.ნადირაძეს იმაში, რომ, სადაც 2 სექტემბრის კინოს სახლთან დატრიალებულ ამბებს ახსენებ, იქ არც მეტრო „დელისთან" დატრიალებული ტრაგედია უნდა დაივიწყო. ყველაფერი ეს კი ე.ნადირაძის მართებული შენიშვნით ისევ ახალი ხელისუფლების „საზიანოდ მუშაობს".

ახლა სადაო საკითხებზე:

ბატონი ელდარ ნადირაძე წერილს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ თვითონ ის ეკუთვნის იმ 87 პროცენტს, რომელმაც გაითვალისწინა რა ბატონი ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება ეროვნულ მოძრაობაში, ამ ნიშნით გამოარჩია იგი სხვა კანდიდატებისაგან, მიანიჭა მას უპირატესობა და აირჩია პრეზიდენტად. ეს სწორედ ის 87 პროცენტია, რის გამოც კამათი და დავა დღესაც არ წყდება. კერძოდ ამ ციფრს ეყრდნობიან ძირითადად, როცა პრეზიდენტის სამხედრო ძალით გადაყენებას ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნევენ. ეს მართლაც მტკივნეული საკითხია და ალბათ კიდევ დიდხანს შეაწუხებს ქართველი კაცის სინდისს, რადგან ჯერ-ჯერობით ვერც ის დასაბუთდა, რომ აუცილებელი იყო სამხედრო ძალა პრეზიდენტის გადასაყენებლად და ვერც ის, რომ სამხედრო ძალის გარეშე შეიძლებოდა პრეზიდენტის გადადგომა.

რამდენიც არ უნდა იყოს ეჭვი და ლაპარაკი საპრეზიდენტო არჩევნებში დარღვევის შესახებ, ზვიად გამსახურდიას გამარჯვება რომ შთამბეჭდავი იყო ამ არჩევნებში, ეს მის მოწინააღმდეგეებსაც არ აეჭვებთ. მაგრამ ახლა ყურადღება სხვა მხრივ გვინდა მივაპყროთ. რაც არ უნ[illegible]ა ცუდი ასოციაცია გამოიწვიოს ჩ[illegible] სიტყვებმა, უთქმელობა მაინც ა[illegible] ეგების. არაა დასამალი, რომ ხალხის უმრავლესობას უშ[illegible]ფოთველი და წყნარი ცხოვრება ურჩევნია. [illegible]ო, თავისუფლებაც უნდა და დამოუკიდებლობაც, მაგრამ ეს ისე, სხვათაშორის, ზოგადად, სადღაც მომავალში. ამიტომაც ამომრჩეველთა ამ 87 პროცენტიდან მორალური პასუხისმგებლობა ყველას ერთნაირად არ მოეთხოვება იმ ახლა აღნიშნული მიზეზის გამო, რის გამოც ისინი არჩევანს გა[illegible] ვიტაციის საფუძველზე აკეთ[illegible] ომ ასეა, დასტურდება ი[illegible] ლი ფაქტიდანაც, რომ [illegible] თი ნაწილი „მრგვალი [illegible] ვგორც კი გადაუდგა [illegible] მინვე წამოვიდა წერი[illegible] გაზეთებში ამომრჩე[illegible] ა აქვს მნიშვნელობა, [illegible] თ მოხდა ეს). ამომრჩეველები თავიანთი, უკვე არასასურველი დეპუტატის გასაგონად აცხადებდნენ: ისინი საერთოდ არ იცნობდნენ მას და მხარი კი დაუჭირეს მხოლოდ იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას ბლოკს ეკუთვნოდა. ასე რომ, ამომრჩეველთაგან მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება იმათ, ვინც მოძღვრავდა ხალხს კონკრეტული კანდიდატისათვის მხარდასაჭერად. ამ დროს განსაკუთრებული მისია ეკისრება ინტელიგენციას, რომელიც ვალდებულია მუდამ საქმის კურსში იყოს, მოვლენებს უსწრებდეს წინ და საჭირო სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას იღებდეს. სწორედ 87 პროცენტის ინტელიგენტთა ნაწილს მიეკუთვნება ე.ნადირაძეც.

ე.ნადირაძე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ირაკლი მენაღარაშვილის განთავისუფლებას მიიჩნევს პრეზიდენტის მხრიდან ძალადობის ნიშნის პირველ გამოვლენად, როცა პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ არჩეული მინისტრი რამდენიმე დღეში გაანთავისუფლა უაპელაციოდ. ამას მოყვა არაერთი შეცდომა პრეზიდენტის მხრიდან. აქ წერილის ავტორი ჩამოთვლის პრეზიდენტის პიროვნულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს: ქართული ინტელიგენციის აუგად მოხსენიება პრეზიდენტის ხელქვეითთა მხრიდან, რაც პრეზიდენტის პოზიციით აიხსნებოდა; პრეზიდენტმა ვერ გამოიჩინა საჭირო ალღოიანობა და ეშმაკობა, რაც ასე აუცილებელია პოლიტიკოსისათვის; დარჩა მარადიულ დისიდენტად და ამჟღავნებდა თავშეუკავებლობას; ის გართო პრეზიდენტობით, რასაც თან ახლდა პატივმოყვარეობის გამოვლენა (პომპეზიური სვლები ესკორტის თანხლებით); პრეზიდენტი არაფრად აგდებდა მოწინააღმდეგეებს, გაუთავებლად ჰინჭყლობდა, იქმნიდა ხელოვნურ ბარიერებს, ჩქარობდა ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებისას და ა.შ. ამ შენიშვნებს კი წერილის ავტორი ამთავრებს კინოსტუდიისა და ტელერადიო კომიტეტში მომხდარი ამბებით, როცა ყოფილი ხელისუფლების, უფრო სწორად უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას ზეწოლით როგორც ერთ, ისე მეორე დაწესებულების მიმართ გაატარეს მათი თანამშრომლებისათვის მიუღებელი რეფორმები.

როდესაც ე.ნადირაძე ჩამოთვლის პრეზიდენტის პიროვნულ ნაკლოვანებებს, მის შეცდომებსა და გაუმართლებელ ადმინისტრაციულ რეფორმებს, იქვე აყენებს კითხვას — „შეიძლება თუ არა ყველაფერი ეს მეორეხარისხოვნად იქნეს მიჩნეული განსაკუთრებით დიდი იდეის მატარებლის მიმართ?" სამწუხაროდ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა წერილში აბსოლუტურად უპასუხოდაა დატოვებული. არადა ამ კითხვაზე პასუხი ბევრ ნათელს მოჰფენდა და უფრო ცხადს გახდიდა ე.ნადირაძის პოზიციას.

ახლა კი პრეზიდენტის დაშვებული შეცდომებიდან, რომლებიც მეტნაკლები სიზუსტით აღნუსხა ე.ნადირაძემ, რამდენიმე თვით წინ გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ ზოგიერთი ის მომენტი უზენაესი საბჭოსა და პრეზიდენტის მოღვაწეობიდან, რომლებზედაც ნებით თუ უნებლიედ ყურადღება არ გაამახვილა წერილის ავტორმა.

შეუდგა თუ არა ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო მუშაობას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი — იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა... ვეტექიმი; სულ მალე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ საჯაროდ ფსიქიურად დაავადებული უწოდა ეროვნული მოძრაობის ცნობილ წარმომადგენელს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ პრინციპულ საკითხზე საპირისპირო აზრის იყო (შემდგომ აღმოჩნდა, რომ ამ საკითხში სწორედ ის იყო მართალი და არა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მრავალრიცხოვანი უსიტყვოდ მხარდამჭერნი); ვაჭრობის მინისტრად კი დაინიშნა არასპეციალისტი, სრულიად შეუფერებელი პიროვნება ამ საქმისათვის, რომელიც მალე დიდ კორუფციაში იქნა გარეული; მსგავსი ვითარება იყო ტელერადიო სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს, როცა სრულიად იქნა უგულებელყოფილი კომიტეტის თანამშრომელთა უმრავლესობის ინტერესები; საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი და ამავე დროს პრეზიდენტობის კანდიდატი ზვიად გამსახურდია სხვა კანდიდატებთან უარს ამბობს ტელედებატებზე იმ მოტივით რომ მათ შორის ვერავის ხედავს მის ღირსს; ამავე ხანებში ხელისუფლების წარმომადგენლები სასტიკად არბევენ ერთ-ერთი კანდიდატის შტაბბინას იმ საბაბით, რომ მას დამცველები მოსკოვიდან ყავს ჩამოყვანილი; საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს — 25 მაისს კი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" საპრეზიდენტო არჩევნების კანონის უხეში დარღვევით აქვეყნებს სახელდახელოდ შეკოწიწებულ წერილებს მრავალი ხელმოწერებით ერთ-ერთი კანდიდატის კომპრომეტირებისათვის.

ეს არის არასრული სია იმ აშკარა დარღვევებისა და კანონის აბუჩად აგდებისა, რაც უბრალოდ გამახსენდა. ახლა მინდა ვიკითხო: ეს შეცდომები პრეზიდენტისა, რომლებიც ჩამოთვალა ე.ნადირაძემ, ლოგიკურად გამომდინარეობს თუ არა იმ დარღვევებიდან, რაც მე არასრულად ჩამოვთვალე, ვიდრე პრეზიდენტი სახალხოდ იქნებოდა არჩეული? ვითომ ასე ძნელი მისახვედრი იყო ის რომ, ამ უხეში დარღვევების ავტორი, რაც უფრო დიდ ძალას ჩაიგდებდა ხელში, მით უფრო მეტ დარღვევებს ჩაიდენდა? აქ ბუნებრივად დადგება კითხვა: თუკი ყველაფერს ამას ხედავდი, მაშინ როგორღა აღმოჩნდი 87 პროცენტში? ეს კითხვა კი უკვე დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. ამიტომაც გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არაფერს ამბობს არსებითს ე.ნადირაძე თავის წერილში ამ ადრინდელ დარღვევებზე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მომხდარ ტრაგედიაში მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმათაც, ვინც ასე უაპელაციოდ აცხადებენ 87 პროცენტში შევდივართო.

აქვე გვინდა შევეხოთ კომუნისტებთან დამოკიდებულებასა და პრივატიზაციის საკითხს, ე.ნადირაძე ისე წარმოადგენს ვითარებას, თითქოსდა ვინმე ჭკუათმყოფი პრეზიდენტს საყვედურობდა კომუნისტებისადმი მკაცრი დამოკიდებულებისა და მიწის პრივატიზაციის შეფერხების გამო. არა ბატონო! აქ საქმე ეხება იმას, რომ პრეზიდენტი იჩენდა არათანმიმდევრულობას — ზოგიერთ კომუნისტს კრემლის აგენტად და მაფიოზად სახავდა, როცა მისი მოშორება უნდოდა, ხოლო სხვებს-თუ მეტს არა, არანაკლებ მაფიოზებს, უპირველეს პოსტებზე ნიშნავდა (ამის მძიმე შედეგებს კი უკვე ვიმკით ერთ-ერთ რეგიონში).

ასევეა მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით. უკმაყოფილებასა და გაკვირვებას იწვევდა არა პრივატიზაციის დაგვიანება, არამედ პრეზიდენტის მოყვანილი საბუთები ამასთან დაკავშირებით. ასე რომ, ბატონი ელდარ ნადირაძის ნიშნის მოგებით შენიშნული — „ამის გამო იგი (პრეზიდენტი-მ.მ.) მთელს ქვეყნიერებაზე დაასმინეს: საქართველო ქართველებისათვის უნდაო", სრულიად უადგილოდაა ნათქვამი, ვინაიდან პრეზიდენტის საჯაროდ ნათქვამს არავის დასმენა აღარ სჭირდებოდა და მას უჩვენოდაც მოუვლიდნენ ჩვენი „მოკეთეები".

ე.ნადირაძე წერს: „მაგრამ ის, რაც დღეს ქართული პრესის და ტელევიზიის საშუალებით იფრქვევა, სრულიადაც არ ჩამოუვარდება იმას, რის წინააღმდეგაცაა მოწყობილი ეს ჯვაროსნული ლაშქრობა. ჩვენც გვახსოვს რაღაც-რაღაცეები და ვერ დავეთანხმებით ე.ნადირაძეს იმაში, რომ დღევანდელი ლანძღვა-გინებანი (რასაც თავისთავად ვერასოდეს ვერანაირი გამართლება ვერ მოეძებნება) გაუტოლდეს მაშინდელ სახელმწიფო რანგში აყვანილ ლანძღვა-გინების მექანიზმს. რაც მთავარია: არა გვგონია ე.ნადირაძის წერილის მსგავსი მაშინ გამოქვეყნებულიყო ხელისუფლების მიერ უზურპირებულ რომელიმე გაზეთში (როცა თვით გაზეთი „თბილისიც" კი უზენაეს საბჭოს დაქვემდებარა) — წერილი, რომელიც მისი ავტორის სიტუაციის ობიექტურად შეფასების „დიდი მცდელობის" მიუხედავად, არსებითად პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების დასაცავადაა დაწერილი. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ „საქართველომ" ე.ნადირაძის წერილის გამოქვეყნებით კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი პოზიცია და გააგრძელა ტრადიცია — გამოაქვეყნოს საწინააღმდეგო თვალსაზრისები, რაც მისასალმებელია.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ-საშიშ ტენდენციას, რომელიც სათავეს ბოლშევიკებიდან იღებს და მარჯვედ იქნა გამოყენებული საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ, რომლის სიმპტომებიც სამწუხაროდ შეინიშნება ე.ნადირაძის წერილში. მხედველობაში მაქვს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება; ერთ მხარეს „პრივილეგირებულ" და „ელიტარული" ინტელიგენციის, ხოლო მეორე მხარეს „სუნიანებისა" და „ბრბოს" დაყენება და სხვა. საინფორმაციო მიტინგებზე ყველაფერი ეს ოპოზიციას ბრალდებოდა. პირადად ვერავინ ვნახე ისეთი, რომელსაც მსგავსი რამ მოესმინოს ოპოზიციონერთა მიტინგებზე. ე.ნადირაძე წერს, რომ მთავრობის სახლთან ბრძოლაში დაღუპულთ ოპოზიციონერთა მხრიდან პატივით, ხოლო „პოზიციონერთა მხრიდან დაღუპულები", უპატიურად მოიხსენიებიან; „ზემოთ აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენს პრესაში **ხალხის ბრბოდ, მასად და ჯოგად მოხსენიება თითქმის წესად** იქცა, იგივე ხალხი რამოდენიმეჯერ შეადარეს პირველყოფილი საზოგადოების საფეხურზე მდგომ ტომებს, რომლებიც თავიანთი დაბალგანვითარებულობის გამო საჭიროებენ ბელადს" (ხაზი ყველგან ჩემია-მ.მ.). განა ნორმალურად ჩაითვლება ადამიანი, რომელიც ამ ბრძოლაში დაღუპულებს გაყოფს ან კიდევ თავის სისხლსა და ხორცს ბრბოდ, ჯოგად მონათლავს განსხვავებული მრწამსის გამო? ღირს კი მათზე ლაპარაკი? მაგრამ დღეს ამ საკითხების ისევ გახსენება, ქართველების კვლავ „პოზიციონერებად" და „ოპოზიციონერებად" დაყოფა, ახალ პუბლიკაციებში ამ საკითხების წინა პლანზე წამოწევა ორად გახლეჩილ ქართველებს შორის არსებულ უფსკრულს განა უფრო არ გააღრმავებს?! ნებით თუ უნებლიედ ე.ნადირაძე თავის წერილში ამას აკეთებს და ამაში ვერ დავეთანხმები მას.

რამდენადაც ვიცნობ ე.ნადირაძის პიროვნებას, იმდენად გამაკვირვა მისმა იმ ნათქვამებმა, რომლებშიც ნიშნის მოგებაა უფრო გამომჟღავნებული ვიდრე კეთილმოსურნეობა: „ან იქნებ ზოგიერთ ჭკუის კოლოფს გონია, რომ **ბატონი პრეზიდენტი მართლაც ისტორიულ სანაგვეზეა გადასაგდები**..."; „ასევე ნაადრევად გვეჩვენება ბუკ-ნაღარის ცემა მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის შესახებ..."; „ამ ცარიელი **სიტყვებით კაკლუცობას** იქნებ სჯობდეს საქმე დაკვირვებით გადაწყდეს და უკანასკნელი ლუკმა არ გამოვგლიჯოთ ჩვენს შვილებს პირიდან". ამას კი მოყვება ავტორის შენიშვნა პრეზიდენტის დაბეზღებაზე, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი. ე.ნადირაძის ეს ნათქვამებიც გვქონდა მხედველობაში, როცა აღვნიშნეთ, რომ მისი წერილი არსებითად პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების დასაცავადაა დაწერილი მეთქი.

წერილს ე.ნადირაძე ასე ამთავრებს: „მალე გათავდება ქართველთა კიდევ ერთი საბედისწერო საუკუნე, რომელშიც ორჯერ მოვახერხეთ ხელიდან გაგვეშვა ნანატრი თავისუფლება. ღმერთმა იცის, კიდევ როდის ჩამოივლის სამფეროვანი დროშით მორთული თავისუფლების მატარებელი ჩვენს ბაქანზე, რომლის კიბეზე ორივეჯერ მხოლოდ მანამდე მოვასწარით დგომა, ვიდრე ჩვენი მოძმისავე ხელი არ გვწვდა და მიწაზე არ დაგვანარცხა". ჩამოვლილი „თავისუფლების მატარებელი", რომ თავისუფლებამდე ვერ მიგვიყვანს, ამას უნდა შევეგუოთ და ჩვენი გზა უნდა მოვნახოთ თავისუფლებისა. ეს გზა ვფიქრობთ მონახულია და ახლა ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული.

რაც შეეხება მოძმის ხელით ორივე შემთხვევაში ჩვენს მიწაზე დანარცხებას, გასაგები უნდა იყოს რაზედ და ვისზეა გათვლილი ეს სიტყვები. მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ჩვენს ბედს საბოლოოდ მანქურთები სწყვეტენ. ეს ხომ ისევ ჩვენი უბედურების სხვაზე გადაბრალების, საკუთარ ნაკლზე თვალის დახუჭვისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მორიგი მცდელობაა. ამგვარმა მცდელობებმა კი რა უბედურება დაგვატეხა თავს, დღეს ეს სახეზეა.

ე.ნადირაძე თავისი წერილის სათაურის შესახებ ამბობს, რომ „წინამდებარე წერილის სათაური მთლიანად განსაზღვრავს მის ხასიათს", რაც სიტუაციის ობიექტურად შეფასებას გულისხმობს უცილობლად. მაგრამ ავტორი ამ დანაპირებს ვერ ასრულებს და უფრო მუნდირის ღირსების დაცვის პოზიციაზე დგება. კერძოდ იგი, როგორც 87 პროცენტის წარმომადგენელი, არსებითად ამ არჩევანის გამართლებას ცდილობს. საინტერესო ისაა, რომ მის მიერ პრეზიდენტის ნაკლოვანებებისა და შეცდომების ჩამოთვლის შემდეგ, უკვე შეუძლებელია იმ პოზიციის დაცვა, რასაც ე.ნადირაძე იცავს. ეს უფრო გაწიწმატებას გავს იმ საბაბით, რომ რახან ხმა მივეცი, ამიტომ ველარ გადავთქვამო. რაც შეეხება იმას, რომ ვერც დროებითი ხელისუფლება იქცევა შესაფერისად, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება ყოფილი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გასამართლებლად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა თავის გაკეთებულ საქმეზე აგებს პასუხს და ამის მიხედვით განისჯება.

რაც ითქვა, ამაში არაფერია გასაკვირი და გაუგებარი. ძნელია პოზიციებზე მაღლა დადგომა, ეს ხომ მამაზეციერის საუფლოა, ადამიანების დონეზე კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჩვეულებრივი ადამიანებისათვის კი როგორც წესი ძნელია პოზიციისაგან თავის დაღწევა მაგრამ თვით პოზიციის არჩევა კი უფრო მეტ დაფიქრებას საჭიროებს.

ვის მხარეს უნდა იდგეს ამ დროს ინტელიგენტი? რამდენადაც ინტელიგენტი ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს, გამომდინარე აქედან, ის არ შეიძლება ვინმეს მხარეს დადგეს, გარდა ჭეშმარიტებისა. ინტელიგენტს იდეალურის მიღწევის პრეტენზია უნდა ჰქონდეს და მის განხორციელებას უნდა ცდილობდეს. ხელისუფლება კი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა და ვერასოდეს ვერ განახორციელებს იდეალურს, ამიტომაც ინტელიგენტი ბოლომდე ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდება ხელისუფლების საქმიანობით. სწორედ ამის გამო ინტელიგენტობა მარად ოპოზიციონერობას (და არა კრიჭაში ჩადგომას) ნიშნავს. ამიტომაც ვინმესადმი ბრმა მიმდევრობა, უფრო სწორად ვინმეს „ისტობა" და ინტელიგენტობა შეუთავსებელია ერთმანეთთან. ვისაც ამით თავი მოაქვს, ის თვითონ აყენებს თავის ინტელიგენტობას ეჭვის ქვეშ.

ვის მხარეს უნდა იდგეს ჩვეულებრივი ადამიანი? ამ კითხვაზე ერთი პასუხია — სამშობლოს მხარეზე. თუ ის ამას მოახერხებს, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და ყოველგვარი გაუგებრობაც თავიდან იქნება აცილებული.

ასე რომ, ყველგან და ყოველთვის დავდგეთ საქართველოს მხარეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რედაქციის სტუმარია აკად. გიორგი წერეთლის სახელობის თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ კენჭოშვილი. ჩვენი მკითხველი იცნობს ჰინდი ენიდან შესრულებულ მის არაერთ პოეტურ და პროზაულ თარგმანსა და წერილს ინდური კულტურისა და ინდურ-ქართული ურთიერთობების შესახებ. ბატონ ნიკოლოზს ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი ფელიქს კოჩიაშვილი.

**ნიკოლოზ კენჭოშვილი**

# გარჯით — სულიერ აღზევებამდე

— თქვენი, როგორც ინდოლოგის აზრით, რა მსგავსება და განსხვავება შეინიშნება ქართულ და ინდურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის?

— ზუსტი პარალელების გავლება „მრავალსახოვანი" ინდოეთის ეროვნულ მოძრაობასა და დღევანდელ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს შორის, ძალზე ძნელია, მაგრამ გარკვეული შედარებების გაკეთება, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია. მათ შორის განსხვავება თუნდაც ის არის, რომ ინდოეთი იბრძოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის, საქართველო კი იბრძვის მისთვის ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. აქედან გამომდინარე, ეროვნული თვითშეგნება, როგორც ერთიანი სახელმწიფოს მკვიდრისა, ქართველში, უფრო მყარია და მგრძნობიერი, ვიდრე იყო მაშინდელ ინდოელში. მაგრამ მთავარია ის, რომ განსაკუთრებით ამ ბრძოლის პერიოდში (დაახლოებით 90 წელი) ინდოელი ეროვნული ლიდერები, ჩვენგან განსხვავებით, მიუხედავად თავიანთი ხშირად რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსისა, მაინც ახერხებდნენ ინდოეთის „ჭრელი" მოსახლეობის ყველა ფენის, პარტიებისა თუ ორგანიზაციების კონსოლიდირებას, განუწყვეტელ კონტაქტში იყვნენ ბრიტანეთის ადმინისტრაციასთან. მაგალითად, ცნობილია, რომ მაჰატმა განდი არ მოერიდა იმასაც კი, რომ, როდესაც ინგლისი მეორე მსოფლიო ომში ჩაება, მან ლონდონში მცხოვრებ ინდოელ ახალგაზრდებს მოუწოდა ინგლისის ჯართან ერთად ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ: „ინგლისის უბედურება ჩვენს ბედნიერებად არ უნდა იქცესო". ამდენად, ინდოელი ხალხის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა მხოლოდ ერთი, „საერთო მტრის" სახე — ბრიტანეთის იმპერია. ჩვენგან განსხვავებით, ინდოელი პოლიტიკოსები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს მუდამ ითვალისწინებდნენ არა მარტო ინდოეთის მოსახლეობის სოციალურ-სარწმუნოებრივ „სიჭრელეს", არამედ იმ მთავარ ფაქტორსაც, როგორიცაა „დაპყრობილი ერის ფსიქოლოგია". ამიტომ „ინდური" ბრძოლის ტაქტიკა ძირითადად მიმართული იყო ხალხის კონსოლიდაციისაკენ, რათა მასების ცნობიერებაში არ გაჩენილიყო შიდა, ე.წ. „ხალხის მტრის" სახე, და საერთო მტრის ნაცვლად ხალხი ერთმანეთს არ დაპირისპირებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის შემდეგ, სარწმუნოებრივი „ფანატიზმის" წყალობით (განსაკუთრებით ისლამურ ფუნდამენტალიზმზე დაყრდნობით 40-60-იან წლებში) ინგლისმა მაინც შეძლო ინდოეთის გახლეჩა (ინდოეთში გაჩნდა ახალი სახელმწიფოები— პაკისტანი, ბანგლადეში). მაშასადამე, საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ „ეროვნული ცნობიერების ფსიქოლოგიურ" ფაქტორთან—ქვეყნის დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის შემდეგ. სამწუხაროდ, საქართველოში არც ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი და გარკვეულწილად, არც განდისეული კონცეფცია, რომ საბოლოოდ „ყველაფრის საფუძველი ზნეობრიობაა", არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული და შედეგიც სახეზეა. ჩვენგან განსხვავებით, ვფიქრობ, კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი გათვალეს ინდოელმა პოლიტიკოსებმა. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბოლო ეტაპზე-ორმოციანი წლებისათვის, აქტიური პარტიების რაოდენობა (მაშინდელი, დაახლოებით ოთხას მილიონამდე მოსახლეობის პირობებში) არ აღემატებოდა თერთმეტს, ამათგან წამყვანი იყო სამი პარტია-ინდოეთის ეროვნული კონგრესი, მუსულმანური ლიგა და „ჰინდუ მაჰა საბჰა" (ჰინდუთა დიდი საბჭო). ჩვენში პირიქით ხდება-ხუთმილიონიან საქართველოში, თუ არ ვცდები, აქტიურია თხუთმეტამდე პარტია, საერთოდ კი, ვგონებ, ასამდე პარტია და ორგანიზაციაა, ხოლო თითქმის ცხრაასმილიონიან დამოუკიდებელ ინდოეთში დღეს მოქმედებს სამოცამდე პარტია. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ როდესაც საქართველო სრულ დამოუკიდებლობას მიაღწევს, ხელისუფლებისათვის მებრძოლ პარტიათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცეს პოლიტიკოსების უსასრულო კონფრონტაციისა და პოლიტიკური ექსპერიმენტების ერთგვარ ლაბორატორიად, რაც ჩვენს პროვინციალიზმზე უფრო მეტყველებს, ვიდრე პოლიტიკურ სიბრძნეზე.

— რა განსხვავებას ხედავთ ქართული „მრგვალი მაგიდის" არაძალმომრეობით დაუმორჩილებლობასა და ინდურ არაძალმომრეობას შორის?

— ვფიქრობ, მათ შორის მსგავსება უფრო ფორმალურია, განსხვავება კი პრინციპული. რაც შეეხება თვით ტერმინს „მრგვალი მაგიდა", იგი დღეს ფართოდ არის გავრცელებული პოლიტოლოგიასა და ჟურნალისტიკაში, მაგრამ თუ მაინც და მაინც ქართულში მის ინდოეთიდან ნასესხობაზეა საუბარი, მაშინ უნდა გავიხსენოთ ლონდონში 1931 წელს გამართული ბრიტანეთის ადმინისტრაციის კონფერენცია „მრგვალი მაგიდის" სახელწოდებით, სადაც, როგორც ინდოელები წერენ, ინდოეთის მომავალი უნდა გადაწყვეტილიყო. ამ კონგრესზე ინდოეთის ეროვნულ დეპუტაციას ხელმძღვანელობდა მაჰატმა განდი. რაც შეეხება ინდური არაძალმომრეობის („სატიაგრაჰას") კონცეფციის წარმოშობას განდისტურ მოძრაობაში, მას ზოგი რუსი (საბჭოთა) შოვინისტი მეცნიერი განდიზე ლევ ტოლსტოის გავლენას მიაწერს, რაც, ჩემი აზრით ლოგიკას მოკლებულია. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მ.განდი დიდ პატივს სცემდა ბუმბერაზ რუს მწერალს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტოლსტოის შემოქმედებაში, შეინიშნება ინდური ფილოსოფიის სენტენციები, ამდენად, ბუნებრივია მით უფრო მოიხიბლებოდა მ.განდი ლ.ტოლსტოის შემოქმედებით. მაგრამ კონცეფცია არაძალმომრეობის დაპირისპირებისა ძალმომრეობის (როგორც ბოროტების) წინააღმდეგ,მომდინარეობს ჰინდუისტური რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან, უფრო ზუსტად, ბუდისტურ-ჯაინისტური დოგმიდან („აჰიმსადან"-არაძალმომრეობა, არკვლა) ამას ადასტურებს თვით ტერმინ სატიაგრაჰა"-ს ისტორია: — „არცერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, —წერს მ.განდი—. რა სახელი გვეწოდებინა ჩვენი მოძრაობისათვის. ბატონმა მაგანლალმა შემომთავაზა სიტყვა „სადაგრაჰა", რაც ითარგმნება როგორც „სიმტკიცე კეთილ საქმეში". ტერმინი ძალიან მომეწონა, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც არ გამოხატავდა იმ იდეას, რომელიც მინდოდა მასში ყოფილიყო ჩაქსოვილი. ამიტომ „სადაგრაჰა" შევცვალე „სატიაგრაჰათი". ამ კომპლექსურ სიტყვაში „სატია" —ჭეშმარიტება, შეიცავს სიყვარულის ცნებასაც, ხოლო „გრაჰა"-მტკიცე პოზიციას, ამდენად ჩვენთვის „სატიაგრაჰა" ძალის სინონიმიცაა სწორედ იმ დღიდან ჩვენს მოძრაობას ეწოდა — „სატიაგრაჰა". ამ შემთხვევაში განდისტური გაგება „ჭეშმარიტებისა" დაკავშირებულია ღვთიური ჭეშმარიტების სუბსტანციის ვედანტურ გაგებასთან. სწორედ ამ ეროვნული რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსის ფსიქოლოგიური ფაქტორი უადვილებდა მ.განდის ინდოეთში „საყოველთაო დაუმორჩილებლობის" ბრძოლის მეთოდის რეალიზებას ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ყოველივე ამისა და იმის გამოც, რომ ქართული „მრგვალი მაგიდის" წინაშე მდგარი რუსეთის იმპერია გაცილებით მონსტრული აღმოჩნდა, ვიდრე ბრიტანეთის იმპერია ინდოეთისთვის ქართული „არაძალმომრეობა" (საყოველთაო დაუმორჩილებლობა) უეფექტო აღმოჩნდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის იმპერიის ინტერესები ინდოეთში ფაქტობრივად შემოფარგლული იყო ინდოეთის ეკონომიკური ძარცვით, მაგრამ ამავე დროს ამ ქვეყანაში ინგლისის ბატონობამ დადებითი ნაყოფიც გამოიღო-თუნდაც ის, რომ ინდური სულიერი კულტურა მსოფლიო არენაზე გავიდა. სწორედ ამიტომაც სვამი ვივეკანანდა წერდა: „ჯერ ინდოეთი დაიპყრეს, შემდეგ კი ინდოეთმა თავისი დამპყრობელი დაიპყროო". ამას ვერ ვიტყვით რუსულ-საბჭოურ"იმპერიაზე, რომელმაც როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ განადგურებამდე მიგვიყვანა.

— მოკლედ ხომ არ დაგვიხატავდით მაჰატმა განდის, როგორც ერის სულიერი მოძღვრისა და პოლიტიკური ლიდერის პორტრეტს?

— უპირველეს ყოვლისა, განდის სახელი —„მაჰატმა", უფრო სწორად, „მაჰა"-„ატმა" ე.ი. „დიდი-სული", თავისთავად მეტყველებს, რომ მთელი მისი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ეფუძნებოდა ზნეობრიობას. იგი ამბობდა: „ჩემთვის არ არსებობს განსხვავება ნათესავსა და უცხო ადამიანს, თანამემამულესა და უცხოელს, თეთრსა და ფერადკანიანს შორის. ჩემთვის ერთია ყველა ინდოელი-ჰინდუც, მუსულმანიც, ფარსიც და ებრაელიც. ამის მიზეზი ჩემი გულია, ამას ვერ მივაწერ ჩემს რაიმე განსაკუთრებულ რწმენას. ეს ჩემი ბუნებიდან მომდინარეობს". მ.განდიზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ის, რომ მასზე ინგლისელებმა ბრწყინვალე ფილმი გადაიღეს, როგორც იშვიათ პიროვნებაზე, დასტურია იმისა, თუ როგორი კვალი დასტოვა მან იმ ქვეყანაშიც კი, რომელსაც იგი ებრძოდა. ვფიქრობ, მაჰატმა განდი იყო უნიკალური პიროვნება, რომელშიც დიდებულად იყო შერწყმული ორი საწყისი-ერის სულიერი მოძღვრისა და დიდი პოლიტიკოსისა. ვფიქრობ, ამაშიც იყო მისი წარმატების საიდუმლოება მსოფლიოში, განსაკუთრებით ინგლისში, რომლის ადმინისტრაციამაც ინდოეთში არაერთხელ დააპატიმრა იგი (მისი შვილიც კი). ვერ ეგუებოდა მ.განდის პატივმოყვარე უ.ჩერჩილი, სამაგიეროდ ჩაით უმასპინძლდებოდა ბრიტანეთის დედოფალი, მოწიწებით ხვდებოდნენ ინგლისის პარლამენტშიც. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მ.განდის პოლიტიკური მრწამსი მისივე ცხოვრების წესიდან მომდინარეობდა. ლონდონში მიღებული ბრწყინვალე იურიდიული განათლების პატრონს, მრავალი ენის მცოდნესა და ფილოსოფოსს, ათეულობით ნაშრომის ავტორს, შეეძლო არაერთი სამეცნიერო ხარისხის მფლობელი გამხდარიყო და უზრუნველად ეცხოვრა, თანაც ისე, რომ პოპულარობასა და განცხრომას მოკლებული არ ყოფილიყო. მას, იშვიათ მართლმორწმუნეს, სძულდა რელიგიური ფანატიზმი, რისი მსხვერპლიც თვითონ შეიქმნა. მიუხედავად მისდამი ზოგი პოლიტიკური ძალის არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა, მგანდი მუდამ ახერხებდა ყველაზე მწვავე ოპოზიციასთანაც კი გამოენახა საერთო ენა. დიდი წარმატების მიუხედავად, მაჰატმა განდის არასოდეს უცდია მიეღო რაიმე სახელმწიფო თანამდებობა, მაშინაც კი, როცა მას გააჩნდა ამის რეალური შანსი: 1929 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ინდოეთის ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი უნდა აერჩიათ, სწორედ მაჰატმა განდის დაჟინებით და ძალისხმევით პრეზიდენტის პოსტზე ახალგაზრდა ჯავაჰარლალ ნერუ იქნა არჩეული. მ.განდის ძირითადი თვისება იყო თავმდაბლობა. „სატიაგრაჰას" აშრამის წევრებს მ.განდი ასე მიმართავდა: „თუ თქვენ გინდათ ემსახუროთ ხალხს, მას უნდა აღუთქვათ, რომ მხოლოდ სიმართლეს ეტყვით, ძალას არ მიმართავთ, არც ოჯახის შექმნაზე იზრუნებთ, არ მოიპარავთ, არას მოიხვეჭთ და თვით საკუთარ პირის გემოსაც კი გააკონტროლებთ" (რაჯკუმარ შანკარი, „ამბავი მაჰატმა განდისა", დელი, 1987 წ.).

— ხომ არ გაავლებდით პარალელს ქართულ და ინდურ ხასიათებს შორის?

— რაკი ამგვარი შედარება პირობითია, ამდენად, შესაძლებელია. ვფიქრობ, დღევანდელ ინდოელებს თავიანთ ხასიათში უფრო შერჩათ ტრადიციული თვითმყოფადობა, მართლმორწმუნეობა (ფანატიკურობამდეც კი), შემწყნარებლობა ვიდრე ჩვენ, და მიუხედავად მათზე დასავლეთის ზეწოლისა, ინდოელებმა მაინც შეინარჩუნეს —ამასთანავე გარეგნულად ნაკლებად გამოვლენილი-სიღრმისეულობა, აღმოსავლური მოქნილობა (იქნებ ეშმაკობაც კი) ამავე დროს, მათ ყოფა-ცხოვრებაში (ნაწილობრივ პოლიტიკაშიც კი). დღემდე არსებულმა ათასსახოვანმა სარწმუნოებრივმა კასტობრიობამ, სამწუხაროდ, მათ ჯერ კიდევ შეუნარჩუნა სარწმუნოებრივი ფანატიზმი, რამაც დაარღვია წონასწორობა მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სფეროებში და გაართულა სახელმწიფოებრივი მართვა. ინდური „ფანატიზმი" შედეგია როგორც საერთო (60 პროცენტამდე წერა-კითხვის უცოდინარია), ასევე სწორედ „ვიწრო სარწმუნოებრივი" განათლებისა, რაც დღესაც ვლინდება როგორც სისხლიან შეტაკებაში, ასევე სხვა ანომალიურ მოვლენებში. ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი კი აშკარაა — უთუოდ თავისი ძლიერი სარწმუნოებრივი ფესვების გამო საბოლოოდ ინდური ხასიათი უფრო შინაგანი სიმშვიდით, შემწყნარებლობით და თვითკონტროლით გამოირჩევა. დაკვირვებული ვარ, ინდოელი სიკვდილის ფენომენსაც კი უფრო მშვიდად უყურებს. უთუოდ ამიტომაც სევდას უფრო მდუმარედ გამოხატავენ, პანაშვიდზე განსვენებულს მეზობლის გასაგონად არ დასტირიან. არა იმიტომ, რომ უგულონი არიან, არამედ ისევ და ისევ ტრადიციულობიდან გამომდინარე. ისევე როგორც ჩვენში, ამ ცერემონიალს ოჯახის უფროსი წევრი მამაკაცი უძღვება (ან ნათესავთაგანი). წინაპრებს უფრო საგანგებო სადღეობებზე იხსენებენ, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში-ვთქვათ, სუფრაზე სადღეგრძელოებში, რაც ჩვენ გვახასიათებს. პოლიტიკაში ინდოელთათვის მთავარია დემოკრატია (გადაჭარბებულიც კი). ეროვნული ხასიათი მათ საშუალებას აძლევს იყოლიონ არაერთი სულიერი მოძღვარი დროის სხვადასხვა ეტაპზე.

ყოველივე ეს და მრავალი სხვა მთლიანობაში გამორიცხავს მთელ ინდოეთში პოლიტიკური პიროვნების კულტის აღზევებას, მით უფრო ასეთი ვერ გახდებოდა მგანდი. აი, რას წერს ინდოელი ავტორი ჯდ. სეთი (ინგლისურენოვან გაზეთში „ინდიენ ექსპრეს", 1987 წ. 2 თებერვალი): „მაჰატმა განდიმ ქრისტეს გზით იარა, იგი ეწამა და კაცობრიობის ცოდვებს შეეწირა", „ხოლო ინდირა განდი თავის პოლიტიკურ შეცდომებს ემსხვერპლა". ამდენად, ჩემი აზრით ინდურ ხასიათს ცხოვრების ყველა ეტაპზე სარწმუნოებრივი მრწამსი უდევს საფუძვლად. ახლა ვნახოთ, რაში ვლინდება ჩვენი, ქართული ხასიათი, ჩვენი დღევანდელი, მე ვიტყოდი, უფრო „მატერიალისტური ფანატიზმი", ვიდრე სარწმუნოებრივი. უპირველეს ყოვლისა, ვინ ვართ ჩვენ? ევროპული ხასიათისანი თუ აზიურის? — ვგონებ, ჩვენში ორივეა — თუმცა სურვილებით ევროპისაკენ უფრო ვიხრებით, ხოლო ეგზალტურობით, უფრო აზიისაკენ. არ დაგვავიწყდეს, ჩვენი ტვინების სამოცდაათწლიანი რუსული კომუნისტურ-შოვინისტური იდეოლოგიური წამვლაც, რამაც ჩვენი ძლიერი ფიზიკური გამძლეობის წყალობით, ჩვენს ხასიათში საბოლოოდ მაინც ვერ ამოძირკვა (საბედნიეროდ) გენეტიკური ჰეროიკული ხასიათი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოახდინა უარესი: ინდოელთაგან განსხვავებით, ჩვენში ჩაკლა (მცირე გამონაკლისის გარდა) ჭეშმარიტი ქრისტიანული, ერის მაკონსოლიდირებელი, სარწმუნოებრივი მრწამსი, რასაც, ვფიქრობ, ხელი შეუწყო ასევე ცუდი მიმართულებით განვითარებულმა „ინდივიდუალისტურმა" თვისებამ, რამაც წინ წამოსწია ყველაზე აგრესიული, ინდივიდუალური „მე-ეგო" და დაგვაკარგვინა ერთიანი მამულიშვილური შემწყნარებლობისა და ურთიერთმიტევების უნარი და საბოლოოდ კი ერთმანეთს დაგვაპირისპირა... ხშირად მივმართავთ, — განსაკუთრებით სუფრაზე-მძაფრი იმპულსების ჩახშობის მიზნით, ჩვენს წინაპრებს და ხსნასაც თითქოს მათგან ვითხოვთ. საკმაოდ ხშირად პატრიოტული იდეებითაც ვახდენთ მანიპულირებას. მრავალსაუკუნოვან ჰინდურ ლიტერატურაში არ მოიძებნება იმდენი პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსი, რამდენიც სამოცდაათი წლის მანძილზე ქართულ ენაზე შეიქმნა, მაგრამ შედეგი? დღეს ქართველი ქართველს დასდევს მოსაკლავად ან გასაძარცვავად. განა ეს არის ჭეშმარიტი ქართული ხასიათი? ვფიქრობ —არა! ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ხან დავით აღმაშენებელს მივმართავთ, ხან თამარ მეფეს, მათ შემცვლელს ჩვენს შორის ვეძებთ, მაგრამ ხმა წინაპრებისა მრუდედ გვესმის — გარდაცვლილები (წინაპრები) ჩვენ ერთობისაკენ, მათთან ნათესაური კავშირის უწყვეტელობისაკენ გვიხმობენ და არა ერთი მშველელის მოძიებისაკენ. ჩვენ მართლაც „წინაპრები გვმართავენ", ჩვენ კი ვურჩობთ, უაზროდ ვიხოცებით,ჩვენი გამრუდებული ხასიათის გამო. გასული საუკუნის ფრანგი მეცნიერი გუსტავ ლებონი თავის წიგნში „ხალხისა და მასების ფსიქოლოგია", წერს, რომ „ხალხის ბედს უფრო ხშირად წარმართავენ გარდაცვლილი თაობები, ვიდრე ცოცხლები", რომ „პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის ხასიათი თამაშობს გადამწყვეტ როლს და არა ჭკუა". ვფიქრობ, ლებონის კიდევ ერთი აზრია საინტერესო, რომ „აღზრდა და სახელმწიფო ინსტიტუტები, მორგებული გარკვეულ პიროვნებებისა თუ ხალხზე, შესაძლოა მავნე აღმოჩნდეს მეორე პიროვნებისა თუ მთელი ხალხისათვის". ამ თვალსაზრისით ინდოელის ბუნება თანდათან, საუკუნეების მანძილზე ეგუებოდა ყოველგვარ უცხო ფენომენს, თავის სისხლსა და გონებაში ატარებდა მას და ისე ითვისებდა. უთუოდ ეს არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომ დღეს ძნელად ხდება ინდოეთის გადასავლეთება. ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ღრმა დაფიქრება გვმართებს ჩვენს თანამედროვე ეროვნულ ხასიათზე, რომელშიც ტრადიციული სიღრმისეული მიძინებულია, და, სამწუხაროდ უფრო გარეგნული გამოვლინებები და წრეგადასული ემოციური იმპულსები სჭარბობენ, ვიდრე ძველებური სიდარბაისლე და გონიერება. ვგონებ ამიტომაც უფრო სწრაფად გვიტაცებს უცხოურში „მატერიალური მოდურობა", ვიდრე იმ თვისებების მიბაძვა, რომელიც საერთო სარგებლობას მოგვიტანდა-ვთქვათ, უფრო გვიტაცებს იაპონური ტექნიკა და არა იაპონური შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება; ინდური ტყავი, და არა ინდური შინაგანი იოგური თვითკონტროლის უნარი, მართლმორწმუნეობა; უფრო ინგლისური ენა, ვიდრე, ინგლისური ჯენტლმენობა და ა.შ. ამდენად, ვფიქრობ, იმისათვის, რომ სწრაფად ვიხსნათ თავი „იმპერიული მონობიდან", უწინარესად ჩვენი გამრუდებული „ქართული" ხასიათისაგან უნდა დავაღწიოთ თავი და გავაღვიძოთ ჩვენში ჭეშმარიტი ქართული ხასიათი.

— რაში ხედავთ გამოსავალს? რას შეიძლება დავესესხოთ ინდოელებს ჩვენი პირობების გათვალისწინებით? რა შეიძლება ავიღოთ მათი მსოფლმხედველობიდან?

— უწინარესად, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უფრო ზნეობრივ და სულიერ კრიზისს განვიცდით, ვიდრე მატერიალურს,ჩვენი პატრიარქის თქმისა არ იყოს, საქართველო სრულებითაც არ არის მატერიალურად ღარიბი. ამიტომ, კვლავ ვიმეორებ რომ უფრო მეტად იმ „გაღარიბებულ" ზნეობასა და ხასიათზე გვმართებს დაფიქრება, რის გამოც ჯერ კიდევ ვხოცავთ ერთმანეთს,-მიტინგობასა და შურისგებაში მთავარი გადაგვავიწყდა, გარჯა და ურთიერთშემწყნარებლობა. ძველი ინდური სიბრძნის თანახმად (თუმცა ჩვენშიც ასე იყო). ადამიანის სულიერი აღზევება შრომის გზით იწყება და არა სიბრძნის ქადაგით. ბრაჰმანი (სულიერი მოძღვარი) მასთან მისულ ბრამაჩარინს (სულიერ მოწაფეს) ჯერ ფიზიკურ შრომას აჩვევს და შემდეგ სულიერად წვრთნის. ჩვენც ესღა დაგვრჩენია, შრომით და ჯაფით მივიდეთ სულიერ აღზევებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული სიმდიდრე — დარიშხანი გასაჭირშია

ამ ვრცელი, არაჟურნალისტური წერილის გამოქვეყნებით გაზეთი ერთგვარად „ზარალობს“, რადგან ის მტკივნეული პრობლემა, რაც ამ სტატიაში წამოჭრილი რიგითი მკითხველის გადასაწყვეტ-გადასაჭრელი არ გახლავთ. მას მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

დაე, ნომერში დაისტამბოს ე.წ. „მშრალი“ მასალა და გაზეთმა ჟურნალისტური თვალსაზრისით ერთგვარად წააგოს, ოღონდ ეს მწვავე პრობლემა იმ პირთა მსჯელობის საგნად იქცეს, რომელთაც მისი მოგვარება ხელეწიფებათ.

(სტატია იბეჭდება შემოკლებით)

1990 წლის მაისში საქართველოს სახალხო ფრონტის ინიციატივით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოში განლაგებული დარიშხანის საბადოების ექსპლუატაციის, მადნების მოპოვებისა და გადამუშავების არსებული მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება დარიშხანის მადნების რაციონალური გამოყენებისათვის.

კომისიამ კომპლექსურად შეისწავლა დასმული საკითხები და გამოავლინა მეტად მძიმე ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური მდგომარეობა. სსრკ ცენტრალური უწყებების მიერ ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებით განხორციელებული დარიშხანის უნიკალური ნედლეულის განიავების კურსი ტიპიურია საქართველოს სხვა მადნებისათვისაც. საბადოს ნამდვილ მეპატრონეს — საქართველოს უძვირფასესი ნედლეულის ნაცვლად რჩება დაცარიელებული საბადოები, მომწამლავი ნივთიერებებით გაჭუჭყიანებული გარემო და საშუალო ხელფასი მძიმე შრომისათვის.

მართალია, საქართველო "СНГ"-ს წევრი აღარაა, მაგრამ დარიშხანის მადნებიდან წარმოებული პროდუქცია კვლავ ჩრდილოეთისაკენ მიედინება. თუ დროზე არ ვიმოქმედეთ საკუთარი სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს მცირე რესურსები მალე ამოიწურება ყოფილი სსრკ-ს მზარდი მოთხოვნების წყალობით.

კომისიის ანგარიში სექტემბერში გადაეცა ეროვნულ მთავრობას. იგი დღემდე არ განუხილავთ.

ქვემოთ გთავაზობთ კომისიის მიერ შედგენილი ანგარიშის შემოკლებულ ვარიანტს.

## საქართველოს მინისტრთა საბჭოს კომისიის დასკვნა ლუხუნის და ცანის საბადოების ექსპლუატაციის მდგომარეობის და მათი შემდგომი რაციონალური გამოყენების საკითხებზე

ცნობილია, რომ დარიშხანი გამოიყენება სახალხო მეურნეობის ბევრ სფეროში (მედიცინა, ქიმიური მრეწველობა, სამხედრო მრეწველობა, მეტალურგია, სოფლის მეურნეობა და სხვა). ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება მის ნაერთებზე ნახევრადგამტარული ბუნების გამო (მიკროელექტრონიკის, რადიოელექტრონიკის, ლაზერული ტექნიკის, კოსმონავტიკის განვითარებასთან დაკავშირებით). აღნიშნულ დარგებში საჭიროა ზესუფთა ლითონური დარიშხანი. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მადნების მინერალურ-ელემენტურ შედგენილობას. ამ მხრივ საუკეთესო ნედლეულია ლუხუნის საბადო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ცანის საბადო.

საქართველოში დარიშხანის სულფიდური მადნების მოპოვება და გადამუშავება დაიწყო 1932 წლიდან, მას შემდეგ, რაც სოფელ ურავში აშენდა რაჭის ქარხანა ლუხუნის საბადოს ბაზაზე. საბადო მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ქარხნიდან 28 კმ-ის მოშორებით. თავდაპირველად საბადოდან ქარხნამდე მადნის გადაზიდვა წარმოებდა საჭაპანო გზით, პრიმიტიული სატრანსპორტო საშუალებებით. საავტომობილო გზა, რომელიც დღესაც აკავშირებს საბადოს ქარხანასთან და ემსახურება მადნის ჩამოზიდვას ავტოტრანსპორტით, გაჭრეს მეორე მსოფლიო ომის წლებში (გზა გადის მაღალმთიან, ძლიერ დანაწევრებულ ადგილებში. გზის გაჭრის დროიდან ადგილი აქვს მთების ფერდობების ჩამოშლა-ჩამოწოლას, რის შედეგადაც დაზიანებული გზის რემონტი ყოველწლიურად 35-40 ათასი მანეთი უჯდება რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანას).

მოგვიანებით, 1937 წელს ამუშავდა ცანის ქარხანა ცანის საბადოს ბაზაზე.

70-იანი წლების ბოლომდე რაჭის და ცანის ქარხნებში მადნის გამოწვა წარმოებდა შეშით. გამოწვის აირების გაცივებით სპეციალურ კამერებში მიღებული პროდუქცია — ტექნიკური დარიშხანის ოქსიდი (ე.წ. თეთრი დარიშხანი გამოიყენებოდა სსრ კავშირის თავდაცვის საქმეში და მინის მრეწველობაში. 1960-იანი წლებიდან რაჭის ქარხანაში დანერგილი იქნა დარიშხანშემცველი სხვა ნაერთების და ლითონური დარიშხანის წარმოება. ამჟამად რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა აწარმოებს 16 დასახელების პროდუქტს, რისთვისაც რესპუბლიკის გარედან შემოაქვს 1600-ზე მეტი დასახელების საწყისი და დამხმარე მასალა. მათ შორის ბევრია დეფიციტური საქონელი.

1980 წლამდე ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში თეთრ დარიშხანს იღებდნენ მხოლოდ ადგილობრივი მადნიდან. 1980-86 წლებში თეთრი დარიშხანის მისაღებად ცანის მადანთან ერთად იყენებდნენ რსფსრ-დან შემოზიდულ მეტალურგიული ქარხნების ნარჩენებსაც. 1986 წლიდან ცანის მადნიდან აწარმოებენ მხოლოდ ლითონურ დარიშხანს, თეთრი დარიშხანი კი მიიღება შემოზიდული ნედლეულიდან. ამჟამად ცანის სამთო-ქიმიური ქარხანა აწარმოებს ძირითადად ორ პროდუქტს: ლითონურ დარიშხანს ადგილობრივი მადნიდან და თეთრ დარიშხანს — რსფსრ-დან შემოზიდული მეტალურგიული ქარხნების ნარჩენებიდან.

ორივე ქარხნის პროდუქცია მთლიანად გადის რესპუბლიკიდან. მოიხმარება სსრკ სამხედრო საქმეში, ნახევრადგამტარულ მრეწველობაში, მედიცინაში, ვეტერინარიაში და სხვა მიზნებისათვის.

1976 წლიდან რაჭის და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნები წარმოადგენენ საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვ“-ის საწარმოებს. ეს უკანასკნელი სხვადასხვა დროს ექვემდებარებოდა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის და სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროებს. ამჟამად „სამთო ქიმია“ ( ანუ „საქსამთოქიმმრეწვი“) არის სსრ კავშირის სახელმწიფო აგროქიმიური ასოციაციის საწარმოო გაერთიანება.

დარიშხანის შემცველობა მადნებში საშუალოდ 8 პროცენტს უდრის. რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის უკანასკნელი 10 წლის მონაცემების მიხედვით, ლუხუნის საბადოდან ამოიღეს საშუალოდ 12 პროცენტიანი მადანი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხდება მდიდარი მადნების შერჩევითი ამოღება, ხოლო შედარებით ღარიბი, მაგრამ კონდიციური, მადნების დიდი რაოდენობა იკარგება. მადნის დანაკარგებს ზრდის აგრეთვე ის გარემოება, რომ საბადოებში მადნების მოპოვება ხდება ძალზე პრიმიტიულად, საჭირო მექანიზაციის გარეშე.

ლუხუნის და ცანის საბადოებში, გარდა დარიშხანისა, არის ოქრო, ანთიმონი; მინარევების სახით გვხვდება სხვადასხვა იშვიათი ლითონი: გალიუმი, ლანთანი, იტრიუმი, ცერიუმი, ბორი, თალიუმი და სხვა, რომელთა ამოღების საკითხები არ არის შესწავლილი და ეს უძვირფასესი ნედლეული იკარგება.

რაჭისა და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნები მიეკუთვნება მავნე საწარმოთა კატეგორიას (რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში მომსახურე პერსონალის ნახევარზე მეტს სპეციალური კვება აქვს დანიშნული, სავალდებულო შრომითი სტაჟი 5-10 წლითაა შემცირებული). ამას ემატება წარმოებათა ტექნოლოგიური რეგლამენტების იგნორირება, რაც განაპირობებს ბევრ საამქროში შექმნილ მუშაობისათვის უკიდურესად მძიმე პირობებს. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა მუშა-მოსამსახურეებს თეთრი დარიშხანის (რაჭის და ცანის ქარხნებში), ლითონური დარიშხანის და აურიპიგმენტის (რაჭის ქარხანა) მიღების საამქროებში. არ მუშაობს სავენტილაციო სისტემები, დარღვეულია აპარატების ჰერმეტიზაცია, რის გამოც სხვადასხვა საამქროში სამუშაო ზონაში იფრქვევა ქლორწყალბადი, თეთრი დარიშხანის ორთქლი და გოგირდოვანი აირი; გამართულად არ მუშაობს საშხაპეები, რაც აუცილებელია თეთრი დარიშხანის და აურიპიგმენტის საამქროებში მომუშავეთათვის; არასაკმარისია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. სამრეწველო მოედნები დანაგვიანებულია დარიშხანშემცველი ნაერთების მტვრით, დასუფთავების ცუდი პირობებია დამტვერიანების ზონებში, დანადგარ-მოწყობილობები ფიზიკურად გაცვეთილია, ტექნოლოგიური მილგაყვანილობები — კოროზირებული. არცერთი ქარხნის ადმინისტრაცია არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ სავალდებულო ღონისძიებებს მუშაობისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად. სისტემატურად არ სრულდება რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის უსაფრთხოების და შრომის დაცვის განყოფილების მიერ შედგენილი მიწერილობები, რის გამოც ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებს. არაერთხელ დაჯარიმებულა ქარხანა სახელმწიფო სამთო-ზედამხედველობის კომიტეტის მიწერილობის შეუსრულებლობის გამო. მსგავსი შემოწმებები ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში არ ტარდება.

მაღალია სამუშაო ზონებში ჰაერის დაბინძურება მავნე ქიმიური ნივთიერებებით დარიშხანის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 1989 წელს ჩატარებული შემოწმების მასალების მიხედვით რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში დარიშხანშემცველი ნივთიერებების კონცენტრაცია ჰაერში ბევრად აჭარბებს ჯანმრთელობისათვის საშიშ ზღვარს (ზდკ): ლითონური დარიშხანის წარმოების საამქროში 2-5,5-ჯერ, დარიშხანის პრეპარატების საამქროში 1,4-10,5-ჯერ, აურიპიგმენტის საამქროში 1,2-2,4-ჯერ, ტრისელენიდის მიღების განყოფილებაში 4-5-ჯერ. თეთრი დარიშხანის მიღების საამქროში, რომელიც დარიშხანის ოქსიდით ყველაზე მეტად დაბინძურებული საამქროა, შემოწმება არ ჩატარებულა.

დაბალია ქარხნებში მუშა-მოსამსახურეთა მუშაობის კულტურა. შრომის დაცვის პირობები უგულებელყოფილია, მოსამსახურე პერსონალი არ იყენებს დანიშნულისამებრ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმ მინიმუმსაც, რაც მას ეძლევა. ამ მიმართულებით არავითარი კონტროლი არ ტარდება.

რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მომსახურე პერსონალის კლინიკურ-ლაბორატორიული შესწავლის შედეგად შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შეგროვილ იქნა მასალა; მასზე დაყრდნობით დადგინდა, რომ გამოკვლეულთა 89 პროცენტში აღინიშნება ქრონიკული მოწამვლა ყველა იმ პათოლოგიის გამოვლენით, რომელიც მოყვანილია ლიტერატურულ წყაროებში. საყურადღებოა ონკოპათოლოგიური სიტუაცია საქართველოს ამ რეგიონში. ცალკე რაჭის ქარხნის თანამშრომელთა შორის ამ პათოლოგიის განსაზღვრა და სტატისტიკური დამუშავება პრაქტიკულად შეუძლებელია მოსახლეობის სიმცირისა და აღრიცხვიანობის დეფექტების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავადობა ამბროლაურის რაიონში შესწავლილ იქნა 1970-87 წლების მონაცემების მიხედვით და შედარებულ იქნა რიცხობრივად ანალოგიურ რეგიონს — ადიგენის რაიონს, როგორც საკონტროლოს. ეს უკანასკნელი შედარებულია მთლიანად რესპუბლიკაში ავადობის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. მიღებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობა რესპუბლიკაში საკმაოდ მაღალია და გამოწვეულია ნაწილობრივ ამბროლაურის რაიონში არსებული ავადობის მაღალი კოეფიციენტით, რომელიც თითქმის 4-ჯერ აღემატება ადიგენის მაჩვენებელს. განსაკუთრებით მაღალია კანის კიბოს დაავადების მაჩვენებლები. უკანასკნელ წლებში კანის კიბოს შემთხვევებმა პროგრესულად იმატა ამბროლაურის რაიონში და 1989 წლისათვის პრაქტიკულად 7-ჯერ აღემატებოდა იგივე მაჩვენებელს ადიგენის რაიონში. სხვა მაჩვენებლებიც სავსებით ეთანხმება ლიტერატურულ მონაცემებს: ასაკისა და სიმსივნური პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით ისინი მიუთითებენ დარიშხანის ნაერთების ქრონიკული ზემოქმედების როლზე ამ პროცესში და ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელებასა და სიხშირეში ამბროლაურის რაიონის მოსახლეობაში.

ზემოაღნიშნულს დავძენთ, რომ ონკოდაავადებულთა რიცხვი ორჯერ მეტია ლუხუნის ხეობაში (სოფლები: ბარი, ლიხეთი, ურავი) ამბროლაურის რაიონთან შედარებით. მათი 2/3 კი მოდის მხოლოდ სოფელ ურავზე, თუმცა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იგი ყველაზე პატარა სოფელია ლუხუნის ხეობის სოფლებს შორის. ასეთი მაჩვენებლები უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით: ქარხანაში მომსახურეთა 80 პროცენტს შეადგენს ლუხუნის ხეობის სოფლების მცხოვრებლები, მათგან ნახევარი ურაველია. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ურავს 1980 წლამდე აბინძურებდა თეთრი დარიშხანის საამქროდან ატმოსფეროში გამობოლქვილი თეთრი დარიშხანის ორთქლი და გოგირდოვანი აირი.

სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მიხედვით იგივე მდგომარეობაა შექმნილი ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში. მუშა-მოსამსახურეთა კლინიკურ-ლაბორატორიული შესწავლა აქ არც ერთხელ არ ჩატარებულა.

ორივე ქარხანა აბინძურებს გარემოს მომწამლავი ნივთიერებებით. ტოქსიკური ნარჩენების სამარხების და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის ნორმები და ექსპლუატაციის წესები იგნორირებულია. ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ეკოლოგიური სისუფთავისათვის საჭირო არც ერთი საშუალება არ არსებობს, ხოლო რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ეს საშუალებები ან ტექნიკურად ძალზე დაბალ დონეზეა შესრულებული, ან საერთოდ, პროექტის და სტანდარტის დაცვის გარეშეა აშენებული.

რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში 1989 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სამარხი, რომელიც აგებული იქნა დარიშხანის მადნის გამოწვის ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შორეულ მომავალში მათი გადამუშავების მიზნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი აშენებულია ნორმების უხეში დარღვევებით: არა აქვს სპეციალური გადახურვა, რის გამოც მასში ხვდება ატმოსფერული ნალექები; კედლებში დარჩენილია ხვრელები, რაც განაპირობებს წყალში გახსნილი დარიშხანის მარილების ნიადაგში გაჟონვას და, რაც მთავარია, სამარხი აგებულია სასმელი წყლის მიწისქვეშა წყაროების მკვებავ არეებში და მდებარეობს ზღვის დონიდან უფრო მაღლა, ვიდრე ურავის დასახლება, რაც სამშენებლო ნორმებით დაუშვებელია. ქარხანა სამარხს არ იყენებს დანიშნულებისამებრ: დარიშხანშემცველი ნარჩენების გროვები საამქროს ტერიტორიაზე ისევ ყრია, ჩაირეცხება ატმოსფერული ნალექებით ნიადაგში და იფანტება გარემოში, ხოლო სამარხში იყრება ყველა სახის სამრეწველო ნარჩენები (მინის ნალეწი, ორგანული პოლიმერული მასალების ნარჩენები, დამხმარე მასალების ტარა და სხვა); დარიშხანშემცველი ნარჩენების სამარხში გადატანის შემთხვევაშიც კი, მომავალში მათი გამოყენება სრულიად უპერსპექტივო იქნება სხვა სამრეწველო ნარჩენებთან შერევის გამო, რომელთა საერთო რაოდენობა 62-65 პროცენტი იქნება.

ქარხნის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები არ მუშაობს. საერთოდ, მდინარის ვიწრო ხეობაში გამწმენდი ნაგებობების მოწყობა მშენებლობის შესაბამისი ნორმების უხეში დარღვევების შედეგადაა განხორციელებული; მით უმეტეს, რომ კარგადაა ცნობილი, მდინარე ლუხუნისწყალმა წყალმოვარდნები იცის, რაც ყოველთვის სანაპირო ზოლის წალეკვით მთავრდება. უკანასკნელად ლუხუნი სამი წლის წინ ადიდდა და დაანგრია, გარდა სხვა ობიექტებისა, ახლადაშენებული, ექსპლუატაციაში ჯერ არშესული ბიოლოგიური გამწმენდი განყოფილებაც, რომლის აშენება 2 მილიონი მანეთი დაუჯდა ქარხანას, ხოლო აღდგენა წყალდიდობის შემდეგ 80 ათასი მანეთი. ასეთი ძვირადღირებული გამწმენდი ნაგებობიდან მდინარე ლუხუნში ჩამდინარე წყალი ბიოლოგიურად იწმინდება თუ არა არავინ იცის — ანალიზი არც ერთხელ არ გაკეთებულა. დარიშხანის შემცველობა კი 200-ჯერ მეტია მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციაზე.

რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მიერ მხოლოდ 1988 წელს ხეობაში გაბნეული იქნა 95 ტონაზე მეტი დარიშხანი. აქედან 36 ტონა დარიშხანი მაღალი კლასის მომწამვლელი ნივთიერების ფორმით მოხვდა გარემოში. კერძოდ, 12 ტონა დარიშხანი თეთრი დარიშხანის სახით გამოიფრქვა ატმოსფეროში, 24 ტონა კი ჩაიტანა ჩასადინარმა მდინარე ლუხუნში წყალში ხსნადი არსენატებისა და დარიშხანქლორიდის ფორმით. 46,6 ტონა დარიშხანი სულფიდების სახით გაჰყვა მადნის გამდიდრებისას გადანადებებს და მდინარის პირა ფერდობებზე დაილექა. პროდუქტის სახით იმავე წელს ამოღებული იქნა მხოლოდ 15 ტონამდე დარიშხანი, რაც საბადოდან ამოღებული დარიშხანის 11 პროცენტს არ აღემატება.

ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ნედლეულად გამოყენებულ დარიშხანშემცველ ნარჩენებში, გარდა დარიშხანისა, არის სხვა მაღალტოქსიკური კომპონენტებიც, I და II კლასის საშიშროების (ტოქსიკურობის მიხედვით) ნივთიერებები: ვერცხლისწყალი, სტიბიუმი, ქრომი, ბისმუტი. რაფინირების პროცესში ზოგი მათგანი გამოიყოფა ატმოსფეროში, ზოგი რჩება მყარ ნარჩენებში, რომლებიც არ იმარხება მიუხედავად მაღალტოქსიკურობისა. ტონობით იყრება ღია ცის ქვეშ და წამლავს გარემოს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. დარიშხანშემცველი ნარჩენებიდან მიღებული პროდუქტი შეიცავს 92 პროცენტ თეთრ დარიშხანს — ძირითად პროდუქტს. მისი გამოსავალი არ აღემატება 50 პროცენტს, მაშინ როცა თვით ნედლეულში — დარიშხანშემცველ ნარჩენებში 60-80 პროცენტი თეთრი დარიშხანია. დარიშხანშემცველ ნარჩენებს კი ეზიდებიან ნოვოსიბირსკის პლასტის მეტალურგიუ-

ლი ქარხნებიდან თითქმის 5 000 კმ მანძილზე, თუმცა რაფინირებისათვის გამოყენებულია უმარტივესი, აქროლვის მეთოდი, რომელიც იმავე ქარხნებშიც ადვილი განსახორციელებელია. აქედან გამომდინარე, ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში თეთრი დარიშხანის წარმოება ზემოაღნიშნული ნედლეულიდან არაეკონომიური იყო ყოფილი სსრ კავშირისათვის. ისმის კითხვა, რა მიზანს ემსახურება დარიშხანისა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი ნარჩენების შემოზიდვა საქართველოში?

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაჭისა და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნების სამრეწველო კორპუსები აშენებულია მიტაცებული მიწის ნაკვეთებზე უნებართვოდ. არ არის არც ბუნების დაცვის კომიტეტის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ნებართვები ლუხუნის ვიწრო ხეობაში ქიმიური საწარმოს აშენების შესახებ. ასევე არ არის, და ვერც იქნება, მსგავსი დოკუმენტები ბოლო წლებში მიმდინარე ახალი სამრეწველო კორპუსების მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც ქარხნის გაფართოების მიზნით წარმოებს.

რაჭის და ცანის სამთო-ქიმიურ ქარხნებში არსებული წარმოების უკიდურესად დაბალი დონე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

— დარიშხანის ნაერთთა წარმოებისათვის შერჩეულია არაეფექტური, მრავალსტადიური მეთოდები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დღეისათვის მისაღებ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს; პროექტითაც კი, დარიშხანის 67-68 პროცენტის კარგვაა დაშვებული გარემოში მაშინ, როცა საზღვარგარეთის ქარხნებში დარიშხანის მადნების გადამუშავებისას მხოლოდ 17-18 პროცენტი იკარგება; წარმოებები დაპროექტებულია უხარისხოდ, უხეში შეცდომებით;

— წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტების უხეში და სისტემატური დარღვევა, მთელ რიგ შემთხვევებში სრულიად იგნორირება;

— წარმოების ბევრ უბანზე ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობა — დანადგარები, მწყობრიდან გამოსული საკონტროლო — მზომი ხელსაწყოები; ვიზუალური გაზომვა მთელი რიგი პარამეტრებისა, რომელთა მაღალი სიზუსტით დაცვაზეა დამოკიდებული პროდუქტის გამოსავალი;

— ანტისანიტარია საამქროებში აპარატებთან თუ სამრეწველო მოედნებთან, ნაცვლად განსაკუთრებული სისუფთავისა, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის პროდუქციის მისაღებად;

— საკავშირო ინსტანციებისა და საწარმოო გაერთიანების „სამთო-ქიმია" უტილიტარისტული დამოკიდებულება საქართველოს წიაღისეული სიმდიდრისადმი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კადრების მომზადების არსებული დონის გავლენა წარმოების მაჩვენებლებზე. მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული დონე უკიდურესად დაბალია და მიუღებელია ისეთი ფაქიზი ქიმიური პროცესების მართვისა და აპარატურის მომსახურებისათვის, როგორიც დარიშხანის ქარხანაშია. ორივე ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი ნაწილი არ იცნობს ტექნოლოგიურ რეგლამენტებს; ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას, ამა თუ იმ შესაძლო მოუგვარებლობის შემთხვევაში, არ იცის მათი თავიდან აცილების ხერხები; პროცესის შესახებ ამჟღავნებს უკიდურესად დაბალ ცოდნას, მოქმედებს მექანიკურად დაზეპირებული წესებით; არ იცავს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს; არ იცის ქარხანაში წარმოებული ქიმიური ნივთიერების მავნებლობის შესახებ და ა.შ. მომსახურე პერსონალის არაკომპეტენტურობით უნდა აიხსნას წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტის უხეში და სისტემატური დარღვევები, ხშირად იგნორირებაც კი.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ სამრეწველო თვალსაზრისით ლუხუნის საბადო უნიკალურია იმით, რომ იგი სუფთაა, არ შეიცავს მინარევებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მადანში არ არის მიკროელექტრონიკისათვის „აკრძალული" ელემენტები, რაც ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მცირე დანახარჯებით მადნიდან წარმოებულ იქნას ზესუფთა ლითონური დარიშხანი.

რაზე იხარჯება ლუხუნის საბადოს ეს უნიკალური მადანი ამჟამად?

1988 წლის მიხედვით მადნიდან მიღებული თეთრი დარიშხანისაგან წარმოებული ყველა სახის პროდუქტში დარიშხანის ჯამურმა ამოღებამ შეადგინა 13-14 პროცენტი; აქედან დარიშხანის 67 პროცენტი მოხმარდა კალა ჰიდროარსენატის წარმოებას (გამოიყენება პარაზიტი ჭიებისაგან ცხვრების განსაკურნად; მისი მიღება შეიძლება ცანის მადნის ბაზაზეც), 25 პროცენტამდე ლითონური დარიშხანის სახით იქნა მიღებული და 8 პროცენტი დაიხარჯა სხვადასხვა დარიშხანშემცველი ნაერთების წარმოებაზე. დანარჩენი 86-87 პროცეტი დარიშხანი გაიბნა გარემოში.

ამ მაჩვენებლებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა ეწევა ლუხუნის საბადოს არარაციონალურ ექსპლუატაციას, რომელიც განადგურებით ემუქრება ამ უნიკალურ საბადოს; აბინძურებს ლუხუნის ხეობას დარიშხანშემცველი მავნე ნივთიერებებით, რითაც შეუფასებელ ზარალს აყენებს მას, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

ძირითადი ფონდების მახასიათებელი მონაცემებიდან ჩანს, რომ რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ფონდების ცვლილების დინამიკა ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება, 1980 წელთან შედარებით 1989 წელს იგი გაიზარდა 48 პროცენტით. ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ამ მხრივ მიღწეული შედეგები ნაკლებად შთამბეჭდავია. ორივე ქარხანა დაბალი რენტაბელობის დონით ხასიათდება, ამიტომ მათი კაპიტალური დაბანდებების წყაროდ ცენტრალური ფონდები გვევლინება. ცანის ქარხნის მოგება 1985 წელს ტოლი იყო 3 მლნ. მანეთისა, 1989 წლისათვის იგი შემცირდა 2,3 მლნ. მანეთამდე. რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში მოგებამ 1985 წელს 0,24 მლნ მანეთი შეადგინა, 1989 წელს საწარმო ზარალიანი იყო. ე.ი. რაჭის ქარხნის ეკონომიკური მდგომარეობა, მიუხედავად გაწეული დიდი მოცულობის კაპიტალური დაბანდებებისა კი არ უმჯობესდება, არამედ პირიქით, უარესდება. მაგალითად, 1985 წელს მისი რენტაბელობის მაჩვენებელი იყო 16 პროცენტი, 1989 წელს კი 10 პროცენტამდე დაეცა, შესაბამისად შემცირდა ფონდუკუგების მაჩვენებელი.

კაპიტალურ დაბანდებას, რომელმაც განსახილველ პერიოდში გამოიწვია რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ზრდა, ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით დადებითი შედეგი არ მოუცია. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კაპიტალურ დაბანდებას ჰქონდა ექსტენსიური ხასიათი, არ ითვალისწინებდა ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც თვისობრივად ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველს შეუქმნიდა წარმოებას. კაპიტალური დაბანდების მთავარ მიზნად იყო განსაზღვრული დარიშხანის გადამუშავების ცალკეული ტექნოლოგიური ეტაპების სიმძლავრის ზრდა. ამას დაემატა ის, რომ სტიქიამ მწყობრიდან გამოიყვანა თეთრი დარიშხანის საამქრო, გამწმენდი ნაგებობები.

ურავში და ცანაში სამთო-ქიმიური ქარხნების ამოქმედება არ იყო განპირობებული საქართველოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებით, რადგან არც მაშინ, როდესაც ეს ქარხნები აშენდა, და არც მერე მათ პროდუქციაზე საქართველოში არ ყოფილა მოთხოვნილება. მათი აქ აშენება განაპირობა დარიშხანის პროდუქციაზე საკავშირო მოთხოვნილებებმა და წარმოების ნედლეულთან მიახლოების პრინციპმა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირობებში, ასეთი წარმოების არსებობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში და ხელს უწყობენ მისი ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას. ასეთი მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისვას იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც ადგილობრივი ამოწურვადი რესურსების ბაზაზე მუშაობენ. საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსები საქართველოს სახელმწიფო საკუთრება უნდა იყოს, საკუთრების სუბიექტი — საქართველოს მთავრობა, რომელმაც უნდა მოახდინოს მათი განკარგვა.

ამას უნდა დაემატოს ეკონომიკური მექანიზმები, რომლებმაც გზა უნდა გადაუღობოს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამომყენებელ საწარმოებს. ყოველი სახის ნედლეულმა და რესურსმა უნდა მიიღოს ეკონომიკური შეფასება, რაც უნდა გამოიხატოს ფასში; ფასმა უნდა შეასრულოს ეფექტურობის ზღვრული ნორმის ფუნქცია. შეუფასებელ საქონელს საწარმოები ყოველთვის არარაციონალურად იყენებენ. დღეს შეუფასებელი ნედლეულია დარიშხანის მადანი. რაჭის და ცანის ქარხნებს იგი უფასოდ ეძლევათ. მომავალში უნდა მოხდეს აღნიშნული საბადოების შეფასება, ქარხნებმა გადაიხადონ მის საფუძველზე დადგენილი ფასი. ამასთან გადასახდელი თანხა უნდა განისაზღვროს არა ამოღებული ნედლეულის ფაქტიური რაოდენობის მიხედვით, არამედ მოცემულ საბადოში მოკვლეული მადნის საერთო რაოდენობით. ეს ეკონომიკურად აიძულებს საბადოს დამმუშავებელს მთლიანად აითვისოს საბადოში არსებული დარიშხანის მადანი.

რაჭა-სვანეთის დარიშხანისაგან გალიუმ არსენიდის მონოკრისტალების გაზრდის, საქართველოში ნახევრადგამტარული შენაერთების ბაზაზე მიკროელექტრონიკის მასალებისა და ნაკეთობების წარმოების ორგანიზაციის საჭიროების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: გალიუმ-არსენიდის მოცულობითი მონოკრისტალები, მათ საფუძველზე დამზადებული საფენები და სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების სტრუქტურები და კონსტრუქციები მომავალში შესაძლოა გახდეს რესპუბლიკის დიდად პერსპექტიული და მომგებიანი დარგი. ამ თვალსაზრისით გალიუმ არსენიდის მოცულობითი მონოკრისტალებისა და მის საფუძველზე დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობათა წარმოების ორგანიზება საქართველოში წარმოადგენს მეტად პერსპექტიულ საქმეს, მითუმეტეს, რომ საქართველოს აქვს უნიკალური შედგენილობის დარიშხანის მადანი და ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული კოლექტივები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რთული პრობლემაა, საქართველოში მიმდინარე სამუშაოების გამოყენებითა და კოორდინაციით შეიძლება შევკრათ ციკლი სუფთა მასალის მიღებიდან ელექტრონული ხელსაწყოს გამოშვებამდე.

მოცემული მიმართულებით სამუშაოების წარმართვა რესპუბლიკისათვის იქნება პრესტიჟული და მომგებიანი არა მარტო როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიისა, არამედ ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების თვალსაზრისითაც.

ამრიგად:

— საქართველოს რესპუბლიკის სიმდიდრე — დარიშხანის უნიკალური საბადოები — უყაირათოდ მუშავდება; დიდია დარიშხანის დანაკარგები მისი მოპოვების და წარმოების ყველა საფეხურზე. მთლიანად იკარგება მინარევი იშვიათი და ძვირფასი ლითონები;

— დაბალია მადნიდან სხვადასხვა შენაერთების, აგრეთვე, ლითონური დარიშხანის წარმოების დონე, წარმოებები დაპროექტებულია უხეში შეცდომებით, მოძველებულია ხელსაწყო-დანადგარები, მოშლილია გამზომი ხელსაწყოები;

— უკიდურესად დაბალია კადრების მომზადების დონე; ქიმიური ქარხნები დაკომპლექტებულია ძირითადად არასპეციალისტებით;

— უმძიმესია შრომის პირობები როგორც მადნის მოპოვებისას, ასევე ტრანსპორტირების და მისგან პროდუქციის მიღების დროს; მოუგვარებელია შრომის უსაფრთხოების პირობები;

— სისტემატიურად ბინძურდება გარემო — ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები და ნიადაგი მომწამვლელი ნივთიერებებით;

— მაღალია ქარხნების მომსახურე პერსონალისა და საერთოდ რაიონის მოსახლეობის დაავადებათა მაჩვენებლები;

— არარაციონალურად გამოიყენება დარიშხანის უნიკალური მადნები; ასეთი ძვირფასი ნედლეული მოიხმარება რესპუბლიკის გარეთ მეორეხარისხოვან დარგებში ან იყიდება ლითონური დარიშხანის — მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიული ლითონის — სახით;

— დაბალია წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები, მისი რენტაბელობა. უძვირფასესი ნედლეული ძირითადად ვიწრო უწყებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. სრულიად უმნიშვნელოა მისი წვლილი საერთო (რესპუბლიკური) სიმდიდრის შექმნაში;

— საბადოების ამგვარი მტაცებლური ექსპლუატაცია სწრაფი განადგურებით ემუქრება მათ და ნიადაგს აცლის ისეთი პერსპექტიული და რესპუბლიკისთვის დიდად მომგებიანი საქმიანობის ორგანიზებას, როგორიც არის ქართული დარიშხანის ბაზაზე მიკროელექტრონიკის დარგების განვითარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს დარიშხანის მადნის რაციონალურად გამოყენების მიზნით, კომისია ადგენს:

1. ლუხუნის მადნის გამოყენების სფერო მაქსიმალურად შეიზღუდოს; გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს ინტერესებისათვის და კონკრეტული დანიშნულებით — დარიშხანშემცველი ფარმაკოპეული ნაერთების და ზესუფთა ლითონური დარიშხანის საწარმოებლად ელექტრონიკის განვითარებისათვის.

2. დარიშხანშემცველი სხვა ნაერთების წარმოება განხორციელდეს ცანის მადნის ბაზაზე.

პროდუქციის ასორტიმენტის შერჩევა მოხდეს მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

3. დარიშხანის ორივე მადნის გადამუშავება მოხდეს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებულ ერთ ქიმიურ ქარხანაში. შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს რომელიმე ქიმიური ქარხნის ამ მიზნით გამოყენების შესაძლებლობას, ან შეარჩევს ადგილს ახალი ქარხნისათვის უმოკლეს ვადაში.

4. შეირჩეს დარიშხანის ნაერთების მიღების ტექნოლოგიური სქემები დარიშხანის მწარმოებელი მეწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. სქემები უნდა უზრუნველყოფდეს ნედლეულიდან ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის ამოწვილვას მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, გარემოს გაბინძურების გარეშე. მათი შერჩევა მოხდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც დაკომპლექტდება გამოცდილი ინჟინერ-ქიმიკოსების და პრაქტიკოსი მეცნიერებისაგან. საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ იქნენ უცხოელი კონსულტანტები. მომავალი წარმოების ტექნოლოგიური ნაწილის შედეგებზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ამ ჯგუფს.

5. შეჩერდეს რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნების მუშაობა მდ.ლუხუნის ხეობაში. ქარხნის ამოქმედება მოხდეს დროებით (ვიდრე არ ამოქმედდება დარიშხანის საწარმო 1-4 პუნქტების შესაბამისად) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება დაკმაყოფილებული ეკოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნები (რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი დაწესებულებების მიერ გაცემული ნებართვებით).

6. აიკრძალოს ფერადი ლითონების წარმოების ნარჩენი დარიშხანშემცველი მასალების შემოტანა და რაფინირება საქართველოში, კერძოდ, ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანაში.

7. მოხდეს რაჭის და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნების სამრეწველო მოედნების გაუვნებლობა, წარმოებათა მავნე ნარჩენების დამარხვა სათანადო ნორმატივების შესაბამისად.

8. გამოიძებნოს დასაქმების გზები რაჭისა და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნების მუშა-მოსამსახურეთათვის.

9. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეადგენს ლუხუნის მადნიდან წარმოებული ზესუფთა დარიშხანის ბაზაზე საქართველოში მიკროელექტრონიკის დარგის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და წარუდგენს მას მთავრობას.

10. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს გალიუმ არსენიდზე შეკრული ციკლით ინდუსტრიის შესაბამისი დარგების განვითარების ნაციონალურ პროგრამას და წარუდგენს მას მთავრობას.

11. ჩამოთვლილი საკითხების მოგვარებამდე დარიშხანის საბადოების მეურვეობა თავის თავზე აიღოს საქართველოს მთავრობამ.

კომისიის 39 წევრიდან ხელს აწერს 34.

## ბოლოსიტყვაობის მაგიერ

რაჭის და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნების არსებობა საქართველოს მთიან რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამ კეთილშობილური მიზნისათვის უნდა გამოიძებნოს სხვა, უფრო გონივრული გზა, რომ არ შეეწიროს მას ლუხუნის და ცანისწყლის ხეობების სისუფთავე, იქ მცხოვრებთა სიცოცხლე და დარიშხანის საბადოები. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის უნდა გამოიძებნოს დასაქმების ისეთი სფერო, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ პროფესიულ განათლებას, მსგავსად ქიმიური პროფილის საწარმოსი. შეიძლება განვითარდეს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელიც დაკავშირებული იქნება ფართო მოხმარების საგნებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან ტრადიციული მეურნეობების გათვალისწინებით.

რა პერსპექტივებია ამ მხრივ, მაგალითად, რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის?

გავიხსენოთ საკადრო მაჩვენებელი. ქარხანაში მუშაობს სოფლის მეურნეობის და სავაჭრო-საბუღალტრო დარგების სპეციალობის მქონე 86 კაცი; მათი რიცხვი 4-ჯერ აღემატება ადგილობრივად მცხოვრები ქიმიკოსების რიცხვს. 357 კაცი (ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 70 პროცენტი) საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონეა. ცხადია, ასეთი საკადრო რესურსების მქონე მოსახლეობის დასაქმება უფრო სარგებლიანი იქნება ტრადიციული მეურნეობების (მებაღეობა, მეფუტკრეობა, მებრეშუმეობა, მესაქონლეობა) აღორძინების საქმეში. მითუმეტეს, რომ ლუხუნის ხეობის ისტორია იძლევა ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველს.

მოვიშველიებთ ცნობებს უახლოესი წარსულიდან.

1930 წლამდე, ვიდრე გლეხების მიწები კოლმეურნეობას გადაეცემოდა, ამ სამი სოფლის მიერ მოწეული ბოსტნეული (სიმინდი, ხორბალი, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი) ამარაგებდა ამბროლაურის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარს 50-60 პროცენტით. მომსწრენი იგონებენ, რომ მომდევნო წლებში ამ კუთხის მშრომელ გლეხკაცს კოლმეურნეობაც კი კვებავდა.

1950-54 წლებში ურავში ცხოვრობდა 180-მდე კომლი. კოლმეურნეობას ჰყავა 1500 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 1700 თხა, 100 ღორი, 500 ფრთა ფრინველი; მუშავდებოდა 850 ჰა სახნავ-სათესი მიწა, სადაც მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ქერი, ლობიო, კარტოფილი. ჰქონდათ 300 ოჯახი სკა; სახელმწიფოს აბარებდნენ ხორცს, ყველს, კვერცხს. სხვა პროდუქტებს ანაწილებდნენ კოლმეურნეობებზე (მათ შორის თაფლსაც — 50 გრამს შრომა-დღეზე).

ამჟამად ურავში 160 კომლი ცხოვრობს. ლუხუნის ხეობის დანარჩენ ორ სოფელთან ერთად იგი ლიხეთის სასოფლო საბჭოში შედის. ხეობაში სულ 531 კომლია, მუდმივად ცხოვრობს 1551 კაცი, დროებით — 219. ქარხანა ძირითადად ამ სოფლების მოსახლეობითაა დაკომპლექტებული. დასაქმებისათვის ხეობაში სხვა სახელმწიფო დაწესებულება არ არის.

მიწის ნაკვეთის მსურველი ლიხეთის სასოფლო საბჭოში ბევრია (სოფელ ურავის დამეწყრილ ადგილებში მცხოვრებნი, გაყოფილი ოჯახები), თავისუფალი მიწა კი მათ დასაკმაყოფილებლად არაა. რამდენიმე წელია ამ სოფლების კოლმეურნეობების მიწები შეიერთა რაჭის სამთო-ქიმიურმა ქარხანამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვის გარეშე და იყენებს მათ „საქსამთოქიმია" დამხმარე მეურნეობისათვის (მეურნეობას ჰყავს 300 სული მსხვილფეხა საქონელი, 400-ზე მეტი სული ღორი, 100 ოჯახი ფუტკარი).

ლუხუნის ხეობის მომავალი კეთილმოწყობის საქმეში, ვფიქრობთ, გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის დასაქმება სოფლის მეურნეობის ტრადიციული სახეობებითაც, რისთვისაც მას დაუბრუნდება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დროს უკანონოდ წართმეული მიწები, მათ შორის რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მფლობელობაში არსებულიც.

რაიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი, რომელთანაც იქნება დაკავშირებული მისი განვითარების პერსპექტივები, ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელობის აზრით, შეიძლება გადაწყდეს რიცეულას ჰესის აღდგენით; იგი 1987 წელს დააზიანა სტიქიამ. მისი სიმძლავრე იყო 6,3 მეგავატი. ამჟამად რაიონი (რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის ჩათვლით) მოიხმარს 4 მეგავატზე ნაკლებ ელექტროენერგიას.

კომისიის მიერ 1990 წელს შედგენილი ანგარიშის მიხედვით მასალა მოამზადა საქართველოს სახალხო ფრონტის ქიმიის კომისიის წევრმა რუსუდან დუნდუამ

17.12.1991

# საბირჟო ვაჭრობა თბილისის ცენტრში

## სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

ა.წ. 20 მარტს 12 საათზე გაიმართება ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ ღია ვაჭრობა. ვაჭრობაზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი სახის საქონელი: დანადგარები, სამრეწველო, ფართო მოხმარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ნედლეული, აგრეთვე კონტრაქტები (ფიუჩერული გარიგება) და სხვა.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და კერძო პირებმა წარმოადგინონ განაცხადი არსებული წესის მიხედვით. განაცხადის ფორმის მიღება შეიძლება ბირჟის დირექციაში.

განაცხადის წარმოდგენის თარიღი — არაუგვიანეს 19 მარტის 13 საათისა.

საქონლის სპეციფიკისა და ღირებულების მიხედვით განისაზღვრება ვაჭრობაზე გამოსატანი საქონლის მინიმალური მოცულობა.

ვაჭრობაზე დაიშვებიან განაცხადის წარმომდგენი კერძო პირები (1 წარმომადგენელი) და იურიდიული პირების არაუმეტეს 2 წევრისა.

**საბროკერო ფირმების ხელშეწყობისა და მუშაობის სტიმულირებისათვის 1992 წლის 31 დეკემბრამდე უქმდება ფირმების საბირჟო გადასახადი.**

განაცხადები მიიღება მხოლოდ საგარანტიო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

განაცხადის წარმომდგენებმა თან უნდა იქონიონ საქონლის ნიმუში (ფოტო, ესკიზი, სერტიფიკატი) თუკი ეს შესაძლებელია. ვაჭრობის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს პასპორტი, ხოლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ორგანიზაციის მინდობილობა ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებაზე.

საბროკერო ფირმის წარმომადგენლებმა თან უნდა იქონიონ საფირმო მოწმობა.

ღია ვაჭრობის ყველა დანარჩენი მონაწილესათვის საბირჟო გადასახადი დადგენილია 0.5 პროცენტის ოდენობით.

**მისამართი:** თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24 (მეტროპოლიტენის სადგური „მარჯანიშვილი“).

**ტელეფონი: 95-30-24**

**მოგვმართეთ**

ყოველდღე, გარდა კვირის
10 დან — 17 სთ-მდე
შაბათს
11 დან — 15 სთ-მდე


**მათთვის, ვისაც თანხა აქვს შემნახველ სალაროებში!**

აქციების შეძენა შეგიძლიათ თქვენი შემნახველი წიგნაკიდან თანხის პირდაპირი გადმორიცხვით ჩვენს ანგარიშზე.

**მკვდარ კაპიტალს ამჯობინეთ ერთი წლის შემდეგ მინიმუმ 20 პროცენტიანი მოგების მიღება!**

აქციების ღირებულებაა:
3 000, 5 000, 10 000 და 50 000 მანეთი.

**სააქციონერო საზოგადოება**
**„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“**

ჩვენი რეკვიზიტებია: ს/ს "საქართველოს უნივერსალური ბირჟა", კომერციული ბანკი "დრო", საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო ა/ნ 700161924, კოდი 521006.

ჩვენი მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, VI სართული, მეტროპოლიტენის სადგური "მარჯანიშვილი".
ტელეფონი: 95 30 24.
10 - დან 16 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.



**ვყიდი:**
შავი ფერის, საბჭოთა წარმოების
პიანინოს „როსტოვ-დონს“.
ცნობებისათვის დარეკეთ
ტელეფონზე 61-06-39


## ინფორმაცია

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სახალხო ფრონტის წევრებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ ჩუღურეთის რაიონის სახალხო ფრონტის შტაბბინაში 16 მარტიდან 31 მარტამდე ხელახალი რეგისტრაციისათვის. ის წევრები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას, არ ჩაითვლებიან სახალხო ფრონტის წევრებად.

ჩუღურეთის რაიონის სახალხო ფრონტის გამგეობა.

საკონსულტაციო საბჭოს უფლებების გაფართოებასა და სახელმწიფო საბჭოდ მის გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე გავიდა საბჭოს შემადგენლობიდან.


WORLD LABORATORY

**მსოფლიო ლაბორატორიის სამეცნიერო—საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში**

**გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ :**

სამაგიდო ტიპოგრაფიის
კომპიუტერული სისტემის საშუალებით
წიგნებისა და ჟურნალ—გაზეთების,
სავიზიტო ბარათების,
ბლანკების
და სხვა
ნაბეჭდი პროდუქციის ორიგინალ-მაკეტების მომზადებას,
აგრეთვე
სხვადასხვა კომპიუტერული ავტომატიზირებული
სისტემების შექმნასა
და ექსპლუატაციას

**საკონტაქტო ტელეფონები: 29-48-61, 29-48-60.**


# გაზეთ „საქართველოს“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

როგორც მოგეხსენებათ, ქაღალდის ფასის კატასტროფულმა ზრდამ და სასტამბო ხარჯების გაძვირებამ მრავალი გაზეთის არსებობას შეუქმნა საფრთხე. სწორედ ამან გვაიძულა, გადაგვედგა ჩვენთვის არასასურველი ნაბიჯი — ახალი წლიდან გაგვეძვირებინა „საქართველოს“ საცალო ღირებულება, რაც მკითხველს წინდაწინ, ბოდიშის მოხდით ვაუწყეთ.

დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული ამბების გამო ვერ მოვახერხეთ შესაბამისად გაგვეზარდა ფასი ხელმომწერთათვის, რამაც ჩვენი გაზეთის ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თავად განსაჯეთ, ის თანხა, რაც მთელი წლით გამოწერის საფასურს (12 მან) შეადგენს, გაძვირების შემდეგ მხოლოდ 6 ნომრის ფასს ანაზღაურებს. მაშინ როცა, უკვე გამოვეცით ცხრა ნომერი.

რათა ეს შეუსაბამობა გამოსწორდეს, გაზეთის ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებულნი ვართ 1 აპრილიდან შევაჩეროთ ძველი და გამოვაცხადოთ ახალი ხელმოწერა ნომერზე 50 კაპიკის დაკლებით:

3 თვით — 18 მანეთი
6 თვით — 36 მანეთი
9 თვით — 54 მანეთი

იმედია, ამ იძულებითი ღონისძიების გამო მკითხველი ზურგს არ შეაქცევს „საქართველოს“.


ინდექსი 66447
ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი